

832
1952



ოსტრანო სსშ. სსც.-ღმმ. პარტიის საზღვარ-გარეთელ ბიუროსი.
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-démocrate de Géorgie.

რვაენი

ფრთვა

“ NOTRE DRAPEAU ”

Directeur: MICHEL STOUROUA.

N° 12

პატიზი

მ ა თ ბ ი

Paris.

1952

მ რ ი ღ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ი .

ერთია პირველი მაისი, დღესასწაული მშრომელთა, სიმდიდრის შემქნელთა. მეორეა ოცდაექვსი მაისი, დღესასწაული ქართველი ერის, მისი წინმსვლელობის და თავისთავის პატრონობის.

ამჟამათ ორივე ეს დღესასწაული იმყოფებიან ბრძოლის და თავისდადების პირობებში. მათი საბოლოო გამარჯვება მომავალს ეკუთვნის.

26 მაისმა გააერთიანა ეს ორივე დიადი დღე თავის სამშობლოში; მან განახორციელა პირველი მაისი ეკონომიურათ, პოლიტიკურათ და ნაციონალურათ.

მშრომელთა კლასი—მუშები, გლეხები და წვრილი ბურჟუაზია გაერთიანდნ და გახდნ მეთაურნი ახალი საქართველოსა, განახლებული უძველესი ერისა, მისი აღდგომისა და ამალღებისა.

მტერს არ ეძინა, მას ეს ამალღება არ მოეწონა და გადასწყვიტა მისი გაქრობა, ძველ მდგომარეობაში ჩაბრუნება. ქართველი ხალხი განიცდის დღეს მის უღელს, მის ბატონობას და დესპოტიურ მართველობას. მაგრამ იმედს არ კარგავს, არც არის დასაკარგავი. მოვა დღე მისი ხელახლა ადგომის და მსოფლიო ასპარეზზე გამოსვლის.

გამარჯვებული პირველი მაისი, მშრომელთა გაბატონება თავის სამშობლოში, დესპოტიის დანგრევა და თავისუფლების დამკვიდრება გახდება გზა და ხიდი საქართველოს აღდგენის და განახლების.

26 მაისმა განახორციელა პირველი მაისი. ქართველი ერი შედგა ამ გზაზე და მიიღო ყველა ზომა მშრომელი მასის სამშობლოს წინამძღოლათ წამოსაყენებლათ.

იმედი არ უნდა დაგვეკარგოს: განთიადის აჩრდილი მოახლოვებულია, დასანგრევის დანგრევა აუცილებელია და მას უნდა შევხვდეთ მხნეთ და თავდადებულათ.

პირველი და ოცდაექვსი მაისი ჩვენი საერთო დღეა, საერთო დღესასწაულია, ორივე ერთიმეორეზე გადაბმულია, ერთის გამარჯვება აღადგენს მეორესაც.

ერი და მშრომელნი ერთად მიდიან, ერთ უღელს ებმებიან და ერთად იბრძვიან. გამარჯვება მათი ხვედრია.



19208

ს ა ბ ზ ო ტ ა გ ზ ე ბ ი .

საბჭოთა მეთაურობა დაფრთხალია, ის ეძებს შექმნილი ანტი საბჭოთა ურთიერთობიდან მონახოს გამოსავალი და რაც შეიძლება დიდხანს შეინახოს თავისთავი. მის მიერ გადაცემულ ნოტაში დასავლეთისადმი წამოყენებულია ახალი დებულება და სურს მასში დაარწმუნოს ქვეყნიერება. ეს დებულებაა: «ორივე წყობილების, ჩვენი და თქვენის ერთად არსებობა შეიძლება და ამიტომ ვითხოვთ სამუდამო ზავის ჩამოგდებას». ა. ამდენი ხანია არსებობს ეს წყობილება და მუდამ ქადაგებდა წინააღმდეგს: ან თქვენ, ან ჩვენო. ახლა უცებ შეაბრუნეს კეხი და აჯერებენ დასავლეთს წინააღმდეგში. ის ამით ათამაშებს ევროპას იმ მიზნით, რომ დრო მოიგოს, მოემზადოს და ხელსაყრელ დროს მას ჩასცხოს მჭრელი იარაღი მასზე გასაბატონებლათ. მისი ნოტა დარჩა უპასუხოთ. ის არავინ დაიჯერა, ყველამ მახეთ მიიღო და შიგ არავინ ჩაება.

დიდი ხანია ამერიკა მოითხოვს მოსკოვიდან რკინის ფარდის მოხსნას და თავისუფალი მისვლა-მოსვლის აღდგენას რუსეთთან. აი ამ საყოველთაო მიღებულ ურთიერთობის აღდგენასაც არ თანხმდებიან საბჭოები, ყოველნაირი საერთო ხაზი უცხოეთთან დასაკავშირებლათ უარყოფილია და მომსპარია ერთად არსებობის ყველა პირობები. ძველი დებულება ძალაში რჩება: ან ერთი, ან მეორე, ერთად ერთი გამოსავალია. ამის დაფარვა და მით უცხოეთის თვალის ახვევა მოსკოვის დიპლომატიის სავალი გზაა, რაიცა რჩება უშედეგოთ.

რასაკვირელია ორნაირი წყობილების ერთად არსებობა შესაძლებელია, მხოლოდ ერთი პირობით: მათ შორის უნდა იყოს რაიმე საერთო წყობა: ან ეკონომიური, ან პოლიტიკური, ან ნაციონალური, ან სულიერი და მორალური. არცერთი ეს ხაზი რუსეთს და დასავლეთს შორის საერთო დღეს არ არის. ის დგას განკერძოებულათ და იარაღით ხელში ემუქრება ქვეყნიერებას.

აი ეს საერთაშორისო ურთიერთობა დღეს ყველაზე უკეთ აქვს შეგნებული ჩრდილო ამერიკას და არავითარ ილიუზიებს ის არ ეძლევა. დასავლეთი ევროპა ამ მხრით ჩავარდნილია სრულ გაურკვეველობაში. აქ კიდევ თავს იქცევენ იმედებით, მაგრამ ამ ბოლო დროს გაიმარჯვა ამერიკამ, შექმნეს ევროპის საერთო მხედრობა, ე. ი. მოემზადენ ომისათვის მოსკოვ-

თან. საბჭოები დღეს განცალკევებულია. ეს ნათელი გახდა სანფრანცისკოს კრებაზე, სადაც იყო წარმოდგენილი ორმოცამდე სახელმწიფო და მიიღეს საერთო რეზოლიუცია გარდა ერთად ერთი რუსეთისა. მოხდა მსოფლიოს დარაზმვა წინააღმდეგ საბჭოებისა, დარაზმვა იდეური და სამხედრო. ვიშინსკის მიერ გადაცემული ნოტა საფრანგეთისადმი (12 ოქტომბერს) ნათლათ მოწმობს მოსკოველების დაშინებას ვაითუ გერმანია შეიარაღლანო. მათ სურთ ეს დასავლეთის კარები იყოს ღია, რომ მით გაიადვილონ შიგ შეჭრა და თავსდასხმა.

ამ ნაირათ, დღეს პირველათ განიცდიან საბჭოები სრულ განკერძოებას, დასავლეთის მის წინააღმდეგ გამთლიანებას და მზადებას, ამერიკის პირდაპირ საჯაროთ ანტიკომუნისტური გეზის აღებას და ბრძოლის დორშის აფრიალებას.

ნ. უ.

მ ც ი კ ე შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

დ ი ლ ა მ ბ ე ბ ზ ე .

ძველთაგან ნათქვამია: დრონი მეფობენ და არა მეფენიო; ეს ბრძნული ხალხური თქმულება ხშირად გვაგონდება, როცა დღევანდელ მდგომარეობას ვუყურებთ.

მართლაც, კიდევ გუშინ, მეორე დიდი ომის ხანაში, გერმანიის დედამიწიდან ძირიან-ფესვიანათ აღმოფხვრა და განიავება მოკავშირეთ ერთად-ერთ მიზნად ჰქონდათ დასახული; აკი მიადწიეს კიდევ. წარსულის ისტორიაში ვერ იპოვით მაგალითს რომელიმე ხალხის იმნაირათ განადგურებისა, რასაც ამ ქვეყანაში ჰქონდა ადგილი.

დღეს კი იმავე ანგლო-საქსონებს გერმანიის ფეხზე წამოყენება, მისი ყოველ-მხრივ შეიარაღება, მათი ევროპაში საქმიანობის მთავარ ამოცანათ აქვთ მიმჩნეული. ასეთია მოვლენათა გარდაუვალი ლოლიკა, შექმნილ მდგომარეობით ნაკარნახევი. ევროპის დასაცაველათ მისი მთლიანობა აუცილებელი პირობაა; ევროპის მთლიანობა კი გერმანიის გარეშე წარმოუდგენელია; ორში ერთი: ან გერმანია მთელი თავის პოტენციალით უნდა გახდეს ორგანიული ნაწილი ევროპისა, მისი ჭირის და ლხინის გამზიარებელი, ან არადა მისი ყველა ხალხები განურჩევლათ შეიქნებიან მოსკოვის იმპერიალიზმის მსხვერპლნი—*Tertius non datur*. მესამე გამოსავალი არ არსებობს; ყოველივე ლაპარაკი მომავალ კონფლიქტში ნეიტრალიტეტზე ეს ან უვიცობის შედეგია, და უვიცობას არა-

ვისათვის არასოდეს სარგებლობა არ მოუტანია, ან არა და კიდევ უარესი, საერთო მტრის სასარგებლოთ მუშაობა...

უნდა ვიფიქროთ, რომ დასავლეთის პოლიტიკურ მეთაურობის თავში ამ ქამად ეს შეგნება თანდათან იკალათებს და მიუხედავად ათასგვარ უძნელეს დაბრკოლებებისა, ამ მიზნისაკენ არის მიმართული; ოთხი წლის გასწვრივ ტრიუმან-ჩე-სონის ადმინისტრაციის გაწეული საქმიანობა ევროპის დაცვისათვის დაუფასებელი სამსახურია; თუ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს დღემდე რკინის ფარდა არ ჩამოეფარა, ეს ცხრა მეათედათ ამერიკის ნამსახურობის სიაში უნდა ჩაიწეროს; ადამიანი ზოგიერთ პირუტყვზე უფრო უმადურია: ის ჩქარა იგიწყებს გაწეულ სამსახურს; გავიხსენოთ დასავლეთ ევროპის ოთხი წლის წინეთ მდგომარეობა; აი რა სურათს იძლევა გენერალი მარშალი თავის ცნობილ, 1947 წ. გაზაფხულის სიტყვაში: «ომმა სავსებით გაანადგურა ევროპის კომერციული სტრუქტურა; ამ ქვეყნის ფეხზე დაყენება მოითხოვს დიდ დროს და სასწრაფო ზომებს; სამი თუ ოთხი წლის განმავლობაში ეს კუთხე საჭიროებს სურსათით და სხვა საჭირო ნივთებით დახმარებას; თუ დროზე მას ეს დახმარება არ მივაწოდებთ ევროპას მოელის ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური კატასტროფა».

როგორც ვიცით ვერცდ წოდებული მარშალის გეგმა კონგრესმა დაადასტურა და ის ცხოვრებაში გატარდა; საკმარისია დღევანდელი მდგომარეობა, მაგ. საფრანგეთის შევადაროთ ამავე ქვეყნის მარშალის გეგმის წინანდელს, რომ ბრმათათვისაც ნათელი შეიქნეს ჩვენი ზემოთ მოყვანილი რწმუნების საფუძვლიანობა. აი რამოდენიმე ციფრიც: მოძრაობის ძალა, ეროვნულ სიმდიდრის წყარო, 1948 წ. შედარებით გაიზარდა 39 პროც.; ომის წინა წლებთან შედარებით კი—55 პროც.; 1948 წ. ტრაქტორთა რიცხვი უდრიდა 4.000; დღეს კი ის 160.000 აღემატება; სავაჭრო ფლოტის ტონაჟი, ომის დასასრულს მთლიანად განადგურებული, დღეს 1938 წ. შედარებით 38 პროც. არის გაზრდილი; ავტომობილის წარმოება 1948 წ. შედარებით 78 პროც. გაიზარდა; ერთი სიტყვით ჩვენ ვხედავთ, რომ ქვეყანა მდიდარია, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვრების დონე დარჩა დაბალი. ასეთი პარადოქსის მთავარი მიზეზი საფრანგეთის საგარეო მდგომარეობით აიხსნება. ერთის მხრით ინდო-ჩინეთი ნთქავს სახელმწიფოს ეროვნულ სიმდიდრის დიდ ნაწილს და ის მძიმე ტვირთად აწევს მის ეკონომიკას; მეორეს მხრით წარმოების აღორძინება კიდევ არ ნიშნავს ნაწარმოების მომხმარებელთათვის იაფ-ფასათ მის მოწოდებას: აქ როლს თამაშობს მისი შესა-

ფერისათ განაწილება. მაგრამ ეს სულ სხვა საკითხია, რომელსაც ჩვენ აქ მხოლოდ გაკვრით შევეხეთ.

ცხადია, რომ ამერიკის დახმარება ევროპის სახელმწიფოებისათვის, ქველმოქმედებაზე არ არის აგებული: ამერიკისათვის თავისუფალ ხალხთა დაცვა ევროპაში თუ სხვაგან, მის სასიცოცხლო ინტერესებს შეადგენს—ჩვენ პოლიტიკაში შევირდები არა ვართ, რომ ეს არ ვიცოდეთ; მაგრამ შეერთებული შტატების წინსვლა სწორედ იმაშია, რომ მან უკუაგდო ტრადიციონული იზოლიაციონიზმი და მის საერთაშორისო საქმიანობაში თანდათან ძლიერდება შეგნება საერთო საშიშროებისა; მას კარგათ ესმის რომ დღევანდელმა ტექნოლოგიურმა უმაგალითო განვითარებამ სივრცის შემეცნება მოსპო და რომ ხალხთა თავისუფლების სფეროში ოაზისი აღარ არსებობს. აღებულ ხაზს ამერიკა ვერ აცდება და დღევანდელ საპრეზიდენტო არჩევნებიდან სავარაუდო პოლიტიკის გადახვრა შეუძლებელია; შესაძლებელია შეიცვალოს ბრძოლის სტრატეგიული კონცეპცია და ამაზედ «ჩვენი დროშა»-ს წინანდელ ნომერში უკვე გვქონდა ლაპარაკი; არსებობს თავდაცვის და ომის წარმოებაში აზრთა სხვადასხვაობა; რესპუბლიკანურ პარტიის ერთ ნაწილს (ტაფტ-პუვერი) ქვეითა დიდი ჯარი ზედმეტად მიაჩნია, მათ სიმძიმის ცენტრი გადააქეთ ავიაკიანზე, მთავარ ფრონტატ კი შორეული აღმოსავლეთი და ამიტომაც ევროპაზე გაწეულ ხარჯებს გაუმართლებლად თვლიან. მაგრამ მთავარი, მოსკოვთან ბრძოლის საკითხი, დავას არ იწვევს...

რომ დაეუბრუნდეთ ჩვენი წერილის პირდაპირ საგანს, გარკვეულათ უნდა ვაღვიაროთ რომ შეერთებულმა შტატებმა დასავლეთ ევროპის თავდაცვის ორგანიზაცია, მიუხედავად ყოვლისა, წინ წასწია. 4 აპრილი ატლანტიკის პაკტის სამი წლის თავია. შეუიარაღებელი თვალით რომ შევხედოთ მისი ჯამი მეტად მქლევა: უამრავი კონფერენციები, ზოგადი ხასიათის რეზოლუციები, ხშირად უთავბოლო კამათი, ზოგჯერ ღრმა უთანხმოება, ყოველივე ეს არ იძლევა საბუთს ოპტიმისტური დასკვნებისათვის. მაგრამ, თუ მდგომარეობას ძირს გაუშინჯავთ, დავინახავთ რომ ატლანტიკის ხალხთა კავშირმა ფესვი გაიდგა. თუ 1949 წ. აპრილში, მას სათათბირო ხასიათი ჰქონდა. დღეს კი ის მუდმივი დაწესებულებაა, ყველა თავის ატრიბუტებით: აღმასრულებელი ორგანო, რომლის «სიეჟი» პარიზია, გენერალური მდივანი და სხვა; ამ გვარათ ე. წ. O. T. A. N., დღეს ჩამოყალიბებული სამოქმედო ორგანიზაციაა, რომლის დანიშნულებაა იზრუნოს ატლანტიკის პაკტში გაერთიანებულ ერთა ეკონომიურ, კულტურულ და

სამხედრო შეკავშირებისათვის. ამისათვის მას უფლებაც საკმარისი აქვს და საშვალეობაც.

ატლანტიკის თავდაცვის აპარატს S. H. A. P. E-ით წოდებულს, ზოგიერთ წრეებში უჯარო შტაბათ იხსენიებენ; ეს ირონია თუ რამეს მოწმობს, მხოლოდ იმას, რომ მის ავტორთ, წარმოდგენა არ აქვთ ორგანიზაციის მნიშვნელობაზე პოლიტიკურ ბრძოლაში; სჩანს ახლო წარსულის გაკვეთილებს მათთვის დიდი სარგებლობა არ მოუტანია. ამ შემთხვევაში მოსკოვი უფრო კარგად აფასებს მდგომარეობას, და ამიტომაცაა რომ მთელი მისი ენერჯით ლამობს შეაჩეროს და ხელი შეუშალოს S. H. A. P. E-ის მუშაობას.

ამერიკელები საქმის ხალხია და როცა გენ. ეიზენჰავერი თავის უკანასკნელ მოხსენებაში, სხვათა შორის, სწერს—“შავი დღეები განვლილია; თუ ჩვენ ბოლომდე ნებისყოფა შევინარჩუნეთ, ჩვენ შევძლებთ საკმარის სამხედრო, ეკონომიურ და მორალურ ძალთა თავის მოყრას, რომელთანაც კომუნისტური ქვეყანა ვერასოდეს ვერ გაბედავს შეჯიბრებასო—შეგვიძლია დარწმუნებული ვიყოთ, რომ ნათქვამი ლიტონ სიტყვათ არ დარჩება. «კომუნისტური ქვეყანაც» სწორეთ ასე ფიქრობს და ამისი უტყუარი მაგალითი საფრანგეთში უკანასკნელ დროს მომხდარი ამბებია: ფრანგ კომუნისტების გენ. რეჯვეის წინააღმდეგ გამოსვლა უბრალო, ჩვეულებრივ მანიფესტაციით არ ჩაითვლება. მას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ქონდა, ვინაიდან მოსკოვი და მისი მეხუთე კოლონა რეჯვეის სთვლიან არა მარტო მთავარსარდლათ, არამედ ატლანტიკის სამხედრო მინისტრათ, რაც ცოცხალი განსახიერებაა ამ ამ ხალხთა ნებისყოფის მოსკოვის თავდასხმისაგან დაცვაში. საფრანგეთის მთავრობამაც ეს ასე გაიგო და კიდევაც მისცა სათანადო ბრძოლა.



26 მაისი..... ეს პატარა საქართველოსათვის ისტორიული და დაუფიქარი თარიღი, დღე მისი სახელმწიფოებრივი აღორძინებისა, დიდი გერმანიისათვისაც მისი მკვდრეთით აღდგომის დატათ გადაიქცა. მართლადაც რომ მკვდრეთით აღდგა ეს ხალხი, გუშინ კიდევ დიდ სახელმწიფოთა სიიდან ამორიცხული. ამ დღეს მან დასდო ქალაქ ბონში, მოკავშირეთა კოალიციასთან საზავო ხელშეკრულება, რომლითაც ცნობილია მისი სახელმწიფოებრივი სუვერენობა. 27 მაისს კი პარიზში ხელმოწერულ შეთანხმებით გერმანია განდა ატლანტიკის კავშირის სრულყოფილებიანი წევრი.

თავდაპირველათ ეს თვით გერმანიის ხალხის, მისი ორგანიზატორული გენიის, შრომის უნარის, და მის სახლპრო

ეკონომიური აღორძინების დამსახურებაა. შემდეგ კი მან უნდა უმადლოს... სტალინს: ცხოვრებაში ასეთი რამეც ხდება. მოსკოვიდან წარმომდინარე საშიშროებამ აიძულა ამერიკა გუშინდელი მტერი მოკავშირეთ გაეხადა. ასეთივე მისთვის საბედისწერო შეცდომა ჩაიდინა კრემლის «შეუცდომელმა» პაპმა კორეიაში თავდასხმით თვით განიარაღებული ამერიკა გამოაღვიძა და მიწაზე განართხული იაპონია მოკავშირეთ გაუხადა.

ამნაირათ, ზემოხსენებული აქტებით, დასავლეთის მეთაურობამ რუბიკონი გადალახა. გერმანიის შეიარაღების საკითხი დღის წესრიგშია დასმული. ჩვენ არ გვინდა დაუმალოთ ჩვენ თავს და სხვებსაც, რომ ამ გზაზე ჯერ კიდევ დიდი დაბრკალებებია გადასალახავი. ამ სიძნელეების წყარო მოკავშირეთა შინაურ ურთიერთობაში უნდა ვეძიოთ. საფრანგეთი გერმანიის შეიარაღებას უფრთხის სრულიად გასაგები მოტივებით. ინგლისი კი ევროპის საქმეებში ღრმად შეჭრიდან მუდამ თავს იკავებს და ამიტომ ყველა ხელმომწერთა პარლამენტების რატიფიკაცია, ალბათ, დიდ დროს წაიღებს; მანამ კი ჩვენ უნდა მოველოდეთ მოსკოვის მხრივ დიდ და პატარა ისტორიებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დიდ ისტორიაში არ ვგულისხმობთ ახალ ომს, დარწმუნებულნი რომ სტალინი ვერ შესძლებს ეს ხელშეკრულებანი გახადოს ომის მიზეზათ. ის მიმართავს ძველ გაცვეთილ საშვალებას—მოკავშირეთა შორის არსებულ წინააღმდეგობათა გაღრმავებას. თვით გერმანიაში შინაურ მანიოვრებს, როგორც მაგ. მისი გაერთიანების იდეის გადმოსროლას; უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ მან ზოგიერთ შედეგებს უკვე მიაღწია, რაც სჩანს გერმანიის სოც. დემოკ. პარტიის მიერ 26 მაისის გლოვის დღეთ გამოცხადებით. ამ მანიოვრებში ახალი არაფერია. როგორც ვსთქვით, მოსკოვი ძველი ნაცადი გზით მიდის; მას არც თავისუფალი არჩევნების ეშინია; ის არ უფრთხის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამ არჩევნებში გამარჯვებასაც კი იმ იმედით, რომ თუ ამერიკის გეგმა ჩაიშალა, რასაც უნდა მოყვეს მისი ევროპიდან განდევნა, მოსკოვი ადვილათ გაუსწორებს ანგარიშს ობლათ დარჩენილ გერმანიის დემოკრატიას.

ნაპოლეონი იტყოდა—მთელი სტრატეგიული სიბრძნე იმაშია, რომ მთავარი ფრონტი მეორე ხარისხოვანისაგან გაარჩიო და თუ პირველზე გაიმარჯვე, ბრძოლა მოგებულაო. პოლიტიკური ბრძოლაც ამავე კანონებს ემორჩილება. ჩვენი დაკვირვებით სწორეთ ამ ბრძნულ სტრატეგიას არ აქვს ვასავალი დასავლეთის ზოგიერთ წრეებში. ხშირად წააწყდები დასავლეთის პრესის საპასუხისმგებლო ორგანოებში ჩივილს

სუვერენობის დამცირებაზე, ამერიკულ დომინაციაზე და სხ. ეს ჩვენ მოგვაგონებს იმ ადამიანს, რომელსაც თავს სწრიდენ და ის კი თმას მისტიროდა.

თმების მოტრფიალენი, ეტყობა, ამერიკაშიდაც მოიპოვებინან; მაღალი პოსტები უჭირავთ და ქვეყნის ბელ-იბა-ლსაც განაგებენ: უმაღლესს სასამართლოს ექვსმა წევრმა სამის წინააღმდეგ პრეზიდენტის განკარგულება სალითონო ქარხების რეკვიზიციის შესახებ, რომლითაც ამ დარგის 650.000 მუშის გაფიცვა შეაჩერა, უკანონო გამოაცხადა. რეკვიზიცია მოიხსნა; გაფიცვა მყისვე განახლდა და ამნაირად იარაღის დამზადების მთელი წარმოება განსაცდელში ჩავარდა და მერე რა დროს!..

იყო თუ არა პრეზიდენტ ტრიუმანის განკარგულება ანტიკონსტიტუციონალური, ამის განხილვაში ჩვენ არ შევდივართ; გვაგონდება მხოლოდ ძველ რომაელთა იურისტების თქმულება: «Frat justicia percat mundus» — ქვეყნის დაღუპვას არ ვჩივით, ოღონდ კანონიერება იქნას დაცული.

ექვსი მოსამართლე, ალბათ, ამ არქაიულ სასჯელით მიუდგა საკითხს და სახელმწიფოს ინტერესები კერძო საკუთრების ხელუხლებლობის პრინციპს დაუმორჩილა.

საშიშროებით სავსე პრეცედენტია! თუ ამერიკაში ამგვარ პრეცედენტებს გასავალი მიეცა, მოსკოვის იმედი, მთავარ მოწინააღმდეგის შიგნიდან აფეთქებისა, მთლად უნიადაგოთ არ ჩაითვლება.

თუ მართალია ის რომ მოსკოვის ბლოკი ემუქრება მთელ მოწინავე კაცობრიობას წალეკვით, ადამიანს და ერს თავისუფლების მოსპობით, ბრძოლის კანონი უკარნახებს მის მოწინააღმდეგეც საერთო ძალღონის დაგროვებას და მთელი ენერჯის მიმართვას ამ მთავარ ფრონტის წინააღმდეგ.

მ. ვაშაძე

დებემა შვეიცარიიდან.

პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას.

წევრნი ინტერნაციონალურ კომიტეტის საქართველოსათვის, შეკრებილი საქართველოს ნაციონალურ მთავრობის წარმომადგენელ — მეგობარ ხარიტონ შავიშვილთან ერთად გთხოვენ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, დღევანდელ სადღესასწაულო დღეს თქვენი ქვეყნის დამოუკიდებლობისას, მიიღოთ მათი სურვილები საქართველოს მალე განთავისუფლების.

კომიტეტის თავმჯდომარე ჟან მარტენი
და საპატიო თავმჯდომარე ალბერტ მალში.

26 მაისი, 1952 წელი.

ჩვენი ღრმის სატკივრები.

6. ნაციონალური საკითხი.

ნაციონალური საკითხის მოუწყობლობა ჩვენი დროის ერთი დიდი სატკივარია. მან დიდი ადგილი დაიჭირა თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში; ხოლო ჩვენთვის ხომ იგი დღეს უდიდესი მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მრავალ სხვა საკითხზე უფრო ჩვენ ახლა ეს საკითხი გვანტერესებდეს, როგორც პრაქტიკულად, ისე თეორეტიკულად, და მას ჩვენ სხვა საკითხებზე უფრო ხშირად ვუბრუნდებოდეთ.

ბევრი სხვადასხვა ნაირი აზრი არსებობდა ნაციონალურ საკითხის შესახებ თეორიაში და კიდევ უფრო მეტი სხვადასხვა ნაირი მიმართულება ყოველდღიურ პოლიტიკაში. ახლა უკვე დიდი ხნის დაკვირვება და ისტორიის მრავალი მაგალითი იმას გვეუბნება, რომ ნაციონალურ საკითხის წამოყენებას და იმაზედ სწორ შეხედულებების შემუშავებას ხელს უწყობდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველმხრივი განვითარება და ამ განვითარების ნიადაგზე აღორძინებულ ლიბერალურ აზროვნების და დემოკრატიულ იდეების ქვეყნად გავრცელება. ამიტომ ბუნებრივია, რომ ნაციონალურ საკითხის მოწესრიგებისთვის ყოველგან დემოკრატიისკენ უჭირავთ თვალნი.

თანამედროვე დემოკრატიას აქვს თავისი ნაკლი, და შეიძლება არა ერთი და ორი. მაგრამ დემოკრატიულ წესწყობილებასზე უკეთესი რეჟიმი, ხალხისთვის უფრო მისაღები და უფრო სამართლიანი, კაცობრიობას დღემდის მაინც არ გამოუჩნა. სადაც ნამდვილი დემოკრატია არსებობს, იქ არსებობს უკეთესი პირობები ადამიანის და საზოგადოების კულტურულად და ეკონომიურად განვითარებისთვის; საზოგადოების კულტურულად და ეკონომიურად განვითარებას კი მიყავს ხალხი, სხვათა შორის, ეროვნულ თავისუფლებისკენ, რაც, თავის მხრივ, ამაგრებს დემოკრატიას.

ამნაირად, დემოკრატია და ეროვნული თავისუფლება, ანუ უფლება ერის დამოუკიდებლად არსებობისთვის, ერთი მეორეზე არის გადაბმული, ერთი მეორეს ინახავს და ასულდგმულებს. «არ ყოფილა თავის დღეში დემოკრატია, რაოდენ მშვიდობიანი უნდა ყოფილიყო იგი—სწერდა ჟორჟი—რომ მას შეძლებოდა ქვეყნად თვითდამკვიდრება და არსებობა ისე, თუ იგი არ უზრუნველყოფდა ეროვნულ დამოუკიდებლობას». მეორე მხრით, ამბობდა იგი, «ეროვნული გამარჯვება მუდამ შეიცავდა ნაწილს დემოკრატიის გამარჯვებისას». ^{*)}

^{*)} იხ. L'Armée Nouvelle, Edit. 1915 წ. გვ. 439—440.

მართლაც, დემოკრატიის გამარჯვებას ჩვენს დროში თითქმის ყოველგან ეროვნული თავისუფლება მოყვა და განთავისუფლებული ერები, თავის მხრივ, ყოველგან დემოკრატიის განვითარებაზე ამყარებდნენ თავის მომავლის იმედებს. აბსოლუტურ და ნახევრად აბსოლუტურ მონარქიების, რუსეთის და ავსტრო-ჰუნგრეთის ადგილზე აღორძინებულმა ეროვნულ სახელმწიფოებმა—ავსტრიამ და ჩეხოსლოვაკიამ, ფინლიანდიამ და პოლონეთმა, ლატვიამ და ლიტვამ, ესტონიამ და საქართველომ—ყველამ დემოკრატიულ კონსტიტუციების საფუძველზე ააგეს თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება; რაც შეეხება დიდი ხნიდან თავისუფალთა ევროპის პატარა ერებს, ისინი ხომ, ყველა, უერთგულესი მომხრენი იყვენ და არიან დემოკრატიულ წესწყობილების: შვეიცია და ნორვეგია, დანია და ჰოლანდია, ბელგია და შვეიცარია უაღრესად განვითარებულ დემოკრატიის ქვეყნებია და იმავე დროს ეროვნულ თავისუფლების შეუპოვარი დამცველნი.

დამორჩილებულ ერთა ბრძოლა განთავისუფლებისთვის მუდამ არსებობდა, ხოლო ჩვენს დროში იმან ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ერთა თავისუფლათ და დამოუკიდებლათ არსებობის უფლებას ახლა მხოლოდ რეაქციონერები თუ ებრძვიან და ისიც უფრო არაპირდაპირ, მიკიბულ-მოკიბულ ზომებით, ვინემ აშკარად. პრინციპიალურათ ეს უფლება ახლა თითქოს ყველას მიერ არის მოწონებული.

თეორიას ამ საკითხშიც რეალურ ცხოვრების წინსვლამ დასძლია და მრავალ გამოჩენილ პოლიტიკოსის შეხედულებას ამ საკითხში ახალი მიმართულება მისცა. თუ ზოგი, მაინც, ახლაც უარყოფს ერის უფლებას დამოუკიდებლათ არსებობისთვის, თუ არა რჩეულ ერთათვის, იგი ამას ძველი თეორიების სიტყვიერებით ასაბუთებს, ანგარიშს არ უწევს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას ახალ მიმართულებით და, შეგნებულათ თუ შეუგნებლათ, ვაბატონებულ ერების ინტერესებს იცავს დამორჩილებულ ერების ხარჯზე. აწინდელი მდგომარეობა და ცხოვრების აუცილებელი წინსვლა დამორჩილებულ ერების განთავისუფლებისთვის ლაპარაკობს; სხვათა შორის იმიტომ, რომ ეროვნული თავისუფლება და სამშობლოს სიყვარული, სიყვარული თავისი საკუთარი კერის, უბრალო ინსტიქტიურ გრძობის და მართლად მართლ იმის გამოძახილი კი აღარ არის, როგორც ეს იყო შეიძლება ძველათ, არამედ იგი ფრიად მნიშვნელოვან წინდახედულობის და კეთილშობილ ანგარიშის საკითხთა გადაიქცა. თუ ყოველ ადამიანს, ადამიანთა ყოველ ტომს და ყოველ საზოგადოებას სურს, აწინდელ ცხოვრების გართულებულ პირობებში. უზრუნველ ჰყოს თავისი და თავისი ახლობელთა კეთილდღეობა, მას არ შეუძლია თავის-თავს არ დაეკითხოს: იძლევა ამისთვის საუკეთესო პირობებს ეროვნულ-

ლი თავისუფლება, საკუთარი ფუძე—სამშობლო, დამოუკიდებელი სახელმწიფო, თუ სხვის მორჩილებაში, სხვის გავლენის ქვეშ ყოფნა? ასე ილვიძებს ხალხში ეროვნული საკითხი.

განუვითარებელ, პირველყოფილ საზოგადოებისთვის ეს საკითხი არ არსებობს: პირველყოფილ საზოგადოების მოთხოვნილებანი ძალიან მარტივია, მისი წინსვლის პერსპექტივები ძალიან შემოფარგლული. ნაციონალური საკითხი თავს იჩენს საზოგადოებაში იმ დროიდან, როცა საზოგადოების მოთხოვნილებანი ფართოვდება და ერთი საზოგადოების, ერთი გაერთიანების, ინტერესები სხვა საზოგადოებათა, სხვა გაერთიანებათა, ინტერესებს ეჯახება, როცა არსებობისთვის ბრძოლა ჩაღდება და საჭირო ხდება ყოველგვარ საშვალეობით ამ ბრძოლისთვის შეიარაღება. საზოგადოების უდიდეს და უღარიბეს ნაწილისთვის, გლეხებისთვის, მუშებისთვის, ეს შესაძლებელია უწინარეს ყოვლისა ეროვნულ ნიადაგზე, სამშობლოს ფარგლებში, რადგან ყველაფერი უცნობი და უცხო უფრო ძნელი ხელმისაწვდომია მათთვის, ვინემ საზოგადოების შეძლებულ და წარჩინებულ წრეებისთვის: ცოდნის შექმნა, გონებრივი განვითარება, სხვებთან აზრის გაცვლა-გამოცვლა, მათთან დაახლოება და სხვა ყოველგვარი ზომები, სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ პროგრესს რომ ემსახურება.

ამიტომ გრძნობა ეროვნულ თავისებურების და ეროვნულ დამოუკიდებლობის დაცვისთვის ხშირად კლასიურ სოლიდარობის გრძნობასაც სჭარბობს და იმაზე უფრო ძლიერი ხდება. არავის უკვირს, რომ ამ სოლიდარობის უდიდესი მატარებელი თანამედროვე საზოგადოებაში, მუშათა კლასი, ჯერ ნაციონალურ პროფესიონალურ კავშირებში და ნაციონალურ პოლიტიკურ პარტიებში ირახმება და ისე შედის ინტერნაციონალში; დღეს არავის აღარ აკვირვებს არც ის გარემოება, რომ მუშათა კლასის წარმომადგენლები ხშირად, თავის ქვეყნის ინტერესების დასაცავათ, საბაჟო ზღუდებით იმიჯნებიან გარეშე ქვეყნებიდან და ხშირად ილაშქრებენ უცხოეთიდან, როგორც საქონლის, ისე მუშების თავისუფლათ თავის ქვეყანაში შემოსვლების წინააღმდეგ. და ასე იქცევიან ისინი არა იმიტომ მხოლოდ, რომ ეშინიათ სამუშაო ქირის დაცემის, არამედ უმთავრესად იმისთვის, რომ მათ სრულიად ბუნებრივად მიაჩნიათ, რათა აწ გამწვავებულ ბრძოლაში არსებობისთვის საკუთარი მიწა-წყალი, თავისი ქვეყანა, რომლის წინაშე მათ მოვალეობა აწევს, და სამშობლოს პირობები, რომელთაც მათზე გავლენა აქვს, უპირველეს ყოვლისა თვითონ უნდა შეიგუონ, მოიხმარონ და გამოიყენონ. ბევრი სხვა, არა ნაკლებ თვალსაჩინო მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა იმის, თუ როგორ იკუმშება მუშათა კლასი თავის ეროვნულ საზღვრებში და ეროვნულ პოზიციებზე დგება ყოველთვის საერთაშორისო გართულების დროს, მაგალითად, ომების ხანაში.

ყოველგვარ საქიროების თუ ყოველგვარ გასაქირის დროს საზოგადოების ყველა წრეები, სოციალურათ ერთი მეორის მოწინააღმდეგე ჯგუფები, და მათ შორის მუშათა კლასიც, ერთ და იმავე სამშობლოს რესურსებს ემყარებიან — მის ნივთიერ შესაძლებლობას, მის კულტურას, მის ისტორიულ ტრადიციებს, მის ეროვნულ გენიას — და, უპირველეს ყოვლისა, აქ, მათთვის უახლოებელეს მშობლიურ ქვეყნის ნიადაგზე პოულობენ ძალას, როგორც თავის ინტერესების — თუნდაც კლასიურის — დასაცავათ, ისე საერთო გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში გასამარჯვებლათ. ამისთვის საზოგადოების ყველა წრეები — და მუშები კიდევ უფრო, ვინემ სხვა რომელიმე კლასი — საქიროებენ თავი მოუყარონ და დაიცვან ყოველგვარი ეროვნული განძი და ეროვნული თავისებურება, კულტურული და მატერიალური. სადაც ამის შეგნება ჩვენს დროში არ არსებობს და სადაც ეროვნულ თავისუფლებისთვის არ იბრძვიან, იქ ხალხის ინტერესები არ არის დაცული, გზა იმის კულტურულ და ეკონომიურ განვითარებისთვის დაბრკოლებულია.

ღონე ხალხის კულტურულ და ეკონომიურ განვითარების უსათუოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეროვნულ დამოუკიდებლობისთვის; ხოლო ერის რიცხვობრივი რაოდენობა და სახელმწიფოს სიდიდე თუ სიპატარავე ამ საკითხში გადამწყვეტ ფაქტორს არ წარმოადგენს; ამიტომ მხოლოდ ამ უკანასკნელ თვალსაზრისით ძვირათ თუ უდგებიან ეროვნულ საკითხს. ისტორიამ მრავალი მაგალითი იცის ტერიტორიით და მოსახლეობით დიდი სახელმწიფოების კულტურულათ და ეკონომიურათ ჩამორჩენის და ამ ნიადაგზე დანგრევის და. წინააღმდეგ, პატარა ერების და პატარა სახელმწიფოების სიმტკიცის და ყოველ მხრივ განვითარების *). ცოდნის და ტექნიკის განვითარებამ ამ ბოლო დროს უფრო და უფრო ხელი შეუწყო, როგორც მცირე რიცხოვან, ისე ჩამორჩენილ ერებს, რათა ესენიც ეზიარონ იმ პროგრესს, რომლით სხვები დიდი ხანია სარგებლობდნენ; ახლა ამათაც ისწავლეს ანგარიში და დაინახეს, რომ «ვისაც ბამბა მოყავს, იგი იგებს ერთს; ვინც ბამბას ძაფათ ამოიღებს, იგებს ორს; ხოლო, ვინც ძაფს მოქსოვს, იგი იგებს სამს». და აი ყველამ დაიწყო, რაკი ამის საშვალება ცოდნის და ტექნიკის განვითარებამ მათ მისცა, საკუთარ «ბამბიდან ძაფის ამოღება და ნაქსოვის დამზადება», ესე იგი, სა-

*) მე შემთხვევა მქონდა «ჩვენი დროშა»-ს ფურცლებზე დაბეჭდილ ჩემს წერილებში ნაციონალურ საკითხის გამო (სათაურით «ორი მიმართულება» №№ 3 და 4), სადაც უფრო პრაქტიკულათ ვეხებოდი ამ საკითხს, კონკრეტული მაგალითები მომეყვანა იმის, რომ ნივთიერი და კულტურული კეთილდღეობა პატარა ერების ხშირად არ ჩამორჩება და ბევრ შემთხვევაში წინ უსწრებს კიდევ დიდი სახელმწიფოების ხალხთა კეთილდღეობას.

კუთარ ნედლი მასალის შინ გადამუშავება, საკუთარ მრეწველობის მოწყობა, საკუთარ საშვალეებზე თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. მართალია, ამის გამო ძველს, მრეწველობით განვითარებულ დიდ სახელმწიფოებს აკლდება და უძვირდება ნედლი მასალა, უმცირდება ბაზარი. მათ ვეღარ გააქვთ ძველებურათ კოლონიებში თავისი ნაწარმოები; მაგრამ, რატომ არის დასაძრახისი, თუ დამორჩილებულ ერებმაც ისწავლეს საკუთარ სარგებლობის და არა გაბატონებულ ერების თვალსაზრისით ხელმძღვანელობა? საერთო, საკაცობრიო საზომით კი ახალი ერების საერთაშორისო ასპარეზზე გამოსვლა ახალს და მრავალფეროვან ცოდნას და გამოცდილებას, ენერჯის ახალ წყაროს უმატებს კაცობრიობას.

ხალხში ერთხელ გაღვიძებულ ეროვნულ თავისუფლების გრძნობის ჩაკვლა ძნელი საქმეა; პირიქით, ერთხელ რომ თავს იჩენს, იგი თანდათან ვითარდება და მეტსა და მეტს ნიადაგს პოულობს საზოგადოებაში, მით უფრო, როცა ცოდნის და ტექნიკის წინსვლა მისი ამაში ხელის შემწყობი არის. უნდა შევბრძოლონ გაბატონებული ერები ამ მოვლენას, ცოდნის და ტექნიკის დამორჩილებულ ერებში გავრცელებას? ეს შეუძლებელია, რადგან იმას მოითხოვს თვით პირობები ეკონომიური განვითარების და დაწინაურებულ ერების ექსპანსია ჩამორჩენილ ქვეყნებში. ამნაირად, როგორც განვითარებულ კაპიტალისტურ წესწყობილების წიაღში ჩაისახა და განვითარდა, ამ რეჟიმის სულისჩამდგმელთა უნებურათ, თანამედროვე კოლექტივიზმის ანუ დემოკრატიულ სოციალიზმის აღმოძინების პირობები, ისე ცოდნის და ტექნიკის განვითარებამ შეანგრია კედლები წყვილიაღში დარჩენილ ჩამორჩენილ ხალხთა ქვეყნების და გაანათლა ისინი; ამავე გარემოებამ ძალა და ენერჯია შემატა დამოუკიდებლათ არსებობისთვის ცივილიზაციის გზაზე დიდი ხნიდან გამოსულ პატარა ერებს. შესაძლებელია ამ მოვლენების ხელოვნურათ დაბრკოლება, იმათი დროებით შეჩერება. მაგრამ მათი მოსპობა შეუძლებელია. ყოველ მარჯვე შემთხვევაში განმათავისუფლებელი მოძრაობა კვლავ თავს იჩენს ხოლმე და განათლების გზაზე გამოსულ კოლონიების და დამორჩილებულ ხალხების ისტორია ამის აშკარა მოწმეა: იგი სავსეა შეთქმულებებით და აჯანყებებით თავისუფლათ არსებობისთვის. ერთი ხალხის მეორე ხალხზე ბატონობის სურვილში არის დასაბამი შინაურ უთანხმოების და შინაურ არეულობების, შინაურ პოლიტიკურ და სოციალურ კრიზისების, რასაც ხშირად არა ნაკლები ზარალი მოაქვს საზოგადოებისთვის. ვინემ ომებს გარეშე მტრებთან. ეს ახლა მკყრობელ ერთა მოწინავე ნაწილის მიერ შეგნებულია, ყოველ შემთხვევაში, მრავალ ადგილას.

ისტორია, ყოველ შემთხვევაში ისტორია უკანასკნელ საუკუნოების, იმას მოწმობს, რომ, როცა სახელმწიფოთა

შორის დიდი ომები თავდებოდა და ამ მხრივ ქვეყნები დაწყნარებული იყვენ, სახელმწიფოს შიგნით ეროვნულ საკითხის მოუწესრიგებლობა ხალხს მაინც არ ასვენებდა, იგი საზოგადოებას აბოზოქრებდა. 1814 წლიდან, ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ, როცა ევროპაში კაი ხნით დასრულდა ეპოქა საგარეო და საერთაშორისო ომების, აქ ამავე დროს ეროვნული მოძრაობაც კი არ დასრულებულა, არამედ გაძლიერდა: ზოგან დამორჩილებული ერები იბრძოდნენ განთავისუფლებებისთვის (საბერძნეთი, ბელგია, ბალკანეთის ქვეყნები) და ზოგან სხვადასხვა სახელმწიფოებში გაფანტული ერთი ტომის ხალხები ერთ ეროვნულ სახელმწიფოში გაერთიანებას, ერთი ერის შექმნას ცდილობდნენ (იტალიელები, გერმანელები)*).

ასეთსავე მდგომარეობას, ე. ი. ეროვნულ მოძრაობის გაძლიერებას, ადგილი ქონდა 1914—1918 წ.წ. მსოფლიო ომის შემდეგ, როცა დიდი მრავალ-ერიანი იმპერიები რუსეთის და ავსტრო-ჰუნგრეთის დაინგრენ და მათ ადგილას მრავალი პატარა ეროვნული სახელმწიფო აღორძინდა. ევროპაში აღარ დარჩა თითქმის არცერთი ერი, ცალკე სახელმწიფოთა რაიმე არ ყოფილიყო ჩამოსხმული. საბჭოთა კავშირშიც კი, რომელმაც არსებითად ძველი რუსეთის იმპერიაში შემავალი ერები კვლავ ძალით შემოიერთა, ფორმალურად მაინც, დაწერილ კონსტიტუციის მიხედვით, ცალკე ერი ცალკე რესპუბლიკათ დარჩა და ასეთად არის აღიარებული; თუ ესენი აუცილებლად «სოციალისტური» რესპუბლიკებია, საბჭოთა სისტემაზე აგებული, საბჭოთა კავშირში აუცილებლად და ძალდატანებით შეყვანილი და საბჭოთა კომუნისტურ მონოლიტურ პარტიის უსიტყვო მონა-მორჩილი, — ეს უკვე ის წინააღმდეგობაა, ფაქტიურად რომ ბატონობს საბჭოთა კავშირში სიტყვისა და საქმის, დაპირებების და სინამდვილის შორის.

ამ უკანასკნელ მეორე დიდი ომის შემდეგაც გრძელდება ეროვნული მოძრაობა. ევროპის დიდი სახელმწიფოები, ინგლისი და საფრანგეთი, პატრონები რომ იყვენ უდიდეს კოლონიების, ამ უამად ზოგან სავსებით ანთავისუფლებენ დამორჩილებულ ერებს და ზოგან ძალიან აფართოებენ მათ უფლებებს და ანიჭებენ ხალხებს თვითმართველობას. ამ უკანასკნელ დროს ეროვნული მოძრაობა შეეხო უმთავრესად აზიის და აფრიკის ქვეყნებს, ხოლო მათი განმათავისუფლებელნი, მათი ხელიდან გამშობნი, ევროპის დემოკრატიული სახელმწიფონი არიან: ინგლისი, საფრანგეთი, ჰოლანდია. ერთი სიტყვით, ნაციონალურ მოძრაობას ვერ აცდა და იმაში ჩაბმული არიან ახლა, ერთის მხრით, ყველა ცნობილი სახელმწიფოები, სხვადასხვა ხალხებს თავის მართველობის ქვეშ რომ აერთებენ და, მეორე მხრით, ყველა განათლების გზაზე გამოსული

*) იხ. ამის შესახებ, სხვათა შორის, Ch. Seignobos «Essai d'une histoire Comparée des Peuples de l'Europe». Paris, 1938.

დამორჩილებული ერები. ერთად ერთ გამონაკლისს მრავალ
ერიანი რუსეთის ყოფილი იმპერია წარმოადგენს, სადა აც ნა-
ციონალური საკითხი ვითომ მოწესრიგებულია; ყველამიცის,
რომ იქაური სიჩუმე სამარისებურია, დესპოტიური პირობე-
ბის ბრალი...

საერთოდ, ორს უმთავრეს მსოფლმხედველობას ვამჩნევთ
ჩვენ ეროვნულ საკითხში და ორ სხვადასხვანაირი პრინციპით
ხელმძღვანელობენ ამ საკითხისადმი მიდგომაში ისინი, ვინც
ამით პრაქტიკულად არიან დაინტერესებული^{*)}.

ერთია მსოფლმხედველობა დემოკრატიის და ემყარება
იგი საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მიერ წამოყენებულს
საკაცობრიო პრინციპებს. ამ მსოფლმხედველობის თანახმად,
ეროვნული თავისუფლება ლოლიკური განვითარებაა ადამიანის
და მოქალაქის უფლებების, მათი დაგვირგვინებაა. 1789 წ.
საფრანგეთის ხალხი აჯანყდა და გაილაშქრა ფეოდალიზმის
და აბსოლუტურ მონარქიის წინააღმდეგ იმიტომ, რომ ესენი
ხალხის უფლებებს ავიწროებდნენ: ერია სუვერენი—ალიარა
საფრანგეთის რევოლიუციამ—და მხოლოდ ერი არის დასა-
ბამი ყოველგვარ ხელისუფლებისო. პიროვნების თავისუფ-
ლება და უფლება ადამიანის მან აღიარა ყველასთვის საზოგა-
დოთ და არა მხოლოდ ფრანგებისთვის, როგორც განსაკუთ-
რებულ რასისთვის; თავის მოთხოვნილებებში საფრანგეთის
რევოლიუცია გონიერებას ემყარებოდა და არა რასას ანუ ჩა-
მამავლობას; თუ იგი იხსენებდა ხალხთა შორის არსებულს
რასიულ განსხვავებასაც, მხოლოდ იმისთვის, რომ აღეარებია
ყველასთვის, ყველა ხალხებისთვის, უფლება თავისუფლად
არსებობის და უფლებბრივი თანასწორობა. ეს პრინციპები
ადამიანის და მოქალაქის უფლებების, ეს უფლება ყოველ
ერის თავისუფლად არსებობისთვის საფუძვლად დაედვა შემ-
დეგ ლიბერალურ და დემოკრატიულ მიმართულებათა განვი-
თარებას საფრანგეთის გარეთაც, მთელს ევროპაში, მთელი
მე-19 საუკუნის განმავლობაში და შემდეგ.

ყოველგან, სადაც დამორჩილებული ერები კი არსებობ-
დენ, ნაციონალური საკითხი ლიბერალურ იდეებს გადა-
ება და «ნაციონალიზმი» და «ლიბერალიზმი» ხელი-ხელ ჩა-
კიდებული ვითარდებოდენ. ლიბერალურ-დემოკრატიული
მსოფლმხედველობა ადამიანს და უფლებას ადამიანისას თა-
ვის ზრუნვის და ყურადღების ცენტრში აყენებს. ამ სახით
იგი რეალურ საფუძველზეა დამყარებული და ეთვისება სა-
ზოგადოებაში არსებულ სულისკვეთებას. ამიტომ ამ მსოფლ-
მხედველობიდან გამომდინარეობს ის, დემოკრატიისთვის
უდავო პრინციპიც, რომ ეროვნული დამოუკიდებლობა, ერ-

^{*)} იხ. Prof. I. T. Delos «Le problème de la Civilisation. La Nation». T. 1, გვ. 54 და შემდეგ T. 2, გვ. 137 და შემდეგ Montreal, 1944. Cf. Prof. G. Weil «L'Éveil des Nationalités et le Mouvement libéral» Paris, 1930.



5 9206

ის ცალკე სახელმწიფოებრივი ერთეულათ გამოყოფა, თვით ერის გადაწყვეტილების ანუ, როგორც ამბობენ ხოლმე, მისი თვითგამორკვევის საქმეა და არა სხვისი ვისიმე. ერია სუვერენი, ამიტომ მის გადაწყვეტილებას შინაურ საქმეებში ყველა უნდა დაემორჩილოს; საერთაშორისო დამოკიდებულებაში კი ყველა ერი სხვა ერთან შედარებით თანასწორ უფლებებით უნდა სარგებლობდეს და სადავო საკითხები მათ შორის მშვიდობიანათ, ამ უფლებრივი თანასწორობის ნიადაგზე, უნდა სწყდებოდეს.

მეორე მსოფლმხედველობა უფრო განყენებულათ უდგება საკითხს. იგი ეროვნულ საკითხს უკავშირებს ერის ჩამომავლობას, რასას, ამა თუ იმ ერის განსაკუთრებულ თვისებებს და იმის დანიშნულებას, ვითომ განსაკუთრებულს, ისტორიაში. იგი ხარისხებათ ყოფს ქვეყნად არსებულ ერებს და ზოგი ერი ან იმის ზოგიერთი ფენები და წრეები მას მიაჩნია განსაკუთრებულ მისიით მოვლინებულათ ამ ქვეყნად. ამის მიხედვით, არა ყოველი ერი, არამედ ამათგან მხოლოდ რჩეულნი არიან ღირსი დამოუკიდებლათ არსებობის და მათ უნდა შეეწიროს მსხვერპლათ სხვა ერების, მატერიალურათ უფრო სუსტების, თავისუფლება. ამ შეხედულების თანახმად, ერის დამოუკიდებლათ არსებობის საკითხს უნდა სწყვეტდეს არა თვითონ ამაში დანიტერესებული დამორჩილებული ერი, მისი უფლება თვითგამორკვევის, არამედ დიდი, გაბატონებული ერის ინტერესები და ძალთა განწყობილება გაბატონებულ და დამორჩილებულ ერთა შორის. აქ დავის გადაწყვეტი უფლება კი არ არის, არამედ ძალა, იარაღი, ომები: ერთი მხრით, დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების—ექსპანსივისთვის და, მეორე მხრით, დამორჩილებულ ერების—თავისუფლებისთვის.

ამ მსოფლმხედველობაში ნამდვილი ისტორიული მოვლენები სულ ადვილათ გადაებმის განყენებულს, მისტიურ ფენომენებს; აქ ხშირად ვითომ ისტორიას და ისტორიულ «უფლებებს» ემყარებიან, არსებითად კი თავის საკუთარს, სრულიად სუბიექტიურს სულისკვეთებას უფრო მიყვებიან, ვინემ ცხოვრების მიერ შექმნილს და თანამედროვე უფლებრივ პრინციპებზე შემუშავებულ ურთიერთობის ნორმებს. ასეთმა, შეიძლება ითქვას, მისტიურმა მსოფლმხედველობამ (I. T. Delos) შობა სხვადასხვა სახის რასიზმი, ანტისემიტუზმით დაწყებული და მრავალგვარ უკიდურეს მოვიზიზმით გათავებული (ნაციზმი, ფაშიზმი).

რამდენათ ბოლშევიზმი ვერ ითმენს თავისუფლებას ვერსად, საზოგადოებრივი ცხოვრების ვერც ერთ დარგში, და მხოლოდ თავისი მსოფლმხედველობა მიაჩნია სწორათ და ერთად ერთნი თავის პარტიის მიმდევარნი ქვეყნის მსხნელად, იმდენათ იგიც «მისტიციზმია», საზოგადოების და ერის ნამდვილ მისწრაფებებს და სულისკვეთებას ჩამოცილებული.

არც ერთი მიმართულება, ასეთ მსოფლმხედველობის მატარებელი, დამორჩილებულ და პატარა ერების განმათავისუფლებელი ვერ იქნება; იგი ვერსად ითმენს ერთა თანასწორობაზე აგებულს ხალხთა თანამშრომლობას.

ერთა განმათავისუფლებელი, ნაციონალურ საკითხის სამართლიანათ გადამწყვეტი თუ ვინმე არის, ეს იქნება ისევ დემოკრატია ანუ გამარჯვება დემოკრატიის პრინციპების, როგორც შინ, თავის ქვეყნის პოლიტიკაში, ისე საერთაშორისო დამოკიდებულებაში. კაცობრიობა თავის განვითარების იმ ხანაში შევიდა, როცა უდიდესი გადატეხა ხდება საზოგადოების შინაურ ცხოვრებაში, როგორც მის სოციალურ, ისე პოლიტიკურ წყობაში. ამიტომ დღემდის არა ჩვეულებრივ სიძლიერით თავი იჩინა ახლა ხალხთა ეროვნულ მოძრაობამაც: ყოველგან, ყველა ქვეყნებში ახლა ეროვნულ თავისუფლებისკენ მიისწრაფიან და ყველას დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება სწყურია. ორივე მოძრაობას, სოციალურს და ნაციონალურს, ღია გულით ეგებება მხოლოდ დემოკრატია, რადგან ორივე ეს მოძრაობა მის, დემოკრატიის, ძირითად პრინციპებზე არის დამყარებული და ისინი ერთი მეორეს იწვევენ და ამაგრებენ.

ხშირად მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ობიექტიური პირობები საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლის—როგორცია მრეწველობის ზრდა და ალებმიცემობის თავისუფლება, მათი ერთ და იმავე სახით და ერთნაირ საფუძველზე მთელ მსოფლიოში განვითარება, ერთი ქვეყნის წარმოების მეორე ქვეყნის წარმოებიდან დამოკიდებულება, ნედლი მასალის საჭიროება და საერთაშორისო ბაზრების შექმნა, სხვადასხვა ქვეყნის მუშათა კლასიური სოლიდარობა და სხვა მრავალი თანამედროვე წარმოებიდან წარმოშობილი მოვლენები—კლასმოპოლიტურ ხასიათს აძლევენო და ხელს უწყობენო ეროვნულ განცალკევების და ეროვნულ თავისებურებათა გაქრობას, ხალხთა ერთი მეორესთან დაახლოებას და ერთი მეორიდან დამოკიდებულებას, როგორც ნივთიერათ, ისე კულტურულათო და რამდენათ ყოველივე ეს პროგრესიულ მოვლენას წარმოადგენს, იმდენათ თითქოს ეროვნული მოძრაობის განვითარება ამ პროგრესს წინ ეღობებოდეს.

უდავო არის ამ შეხედულებაში ის, რომ აღნიშნულ მოვლენებმა, კაპიტალიტურ წესწყობილების განვითარებამ მართლაც ხელი შეუწყო ხალხთა ერთი მეორესთან დაახლოებას, მათი ერთი მეორიდან დამოკიდებულებას და სხვადასხვა ერების საარსებო პირობების ცოტად თუ ბევრად გაერთიანებებს. ხოლო ყოველივე ამას არამც თუ არ მოუსპია ცალკე ერები, არამედ ამ პირობებმა ჩამორჩენილ ერებსაც საშვალეება მისცა უფრო და უფრო გამოეჩინათ თავისი საკუთარი სახე, ნივთიერი და კულტურული, და საკუთარ ეროვნულ სახით

ზიარებოდენ საერთაშორისო პროგრესს. მას შემდეგ, რაც ქვეყნათ დევნილი ებრაელობა არამც თუ არ გადაგვარდა, არამედ ორი ათასი წლის შემდეგ მათი მსოფლიოში გაფანტვისა და სწორეთ მეორე დღეს მათი სავსებით მოსასპობათ მიღებულ უსაშინელეს ზომებისა, იმათ მიხედვით საკუთარი სახელმწიფო აღადგინეს პალესტინაში და ხშირად უკეთეს ქვეყნებში შეჩვეულ საერთო პირობებიდან ამ საკუთარ ეროვნულ კერას, აზიის ერთ მივარდნილ კუთხეში და ძალიან მძიმე პირობებში უბრუნდებიან; მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთის სუსხიან ყინვარებში მდებარე ისლანდიის მცირე რიცხოვან ერმა (სულ ასი ათასი მცხოვრებია დაახლოებით) პატარა, მაგრამ შეძლებულ და მაღალ კულტურის მატარებელი, დემოკრატიულ დანიის მართველობაში ყოფნა არ მოისურვა და ცალკე დამოუკიდებელ სახელმწიფოთ გამოყოფა ამჯობინა; ამის და სხვა ამის გვარ მრავალ მაგალითის შემდეგ, შეიძლება განა თქმა იმის, რომ ეროვნული საკითხი უდიდეს მამოძრავებელ ძალას არ წარმოადგენდეს თანამედროვე საზოგადოებაში, აწ განვითარებულ ბურჟუაზიულ წესწყობილების პირობებში და ეს პირობები თითქმის ანელებდენ ამ მოძრაობას?

«პატარა» დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოების შექმნა სრულებით არ ნიშნავს იმას, როგორც ზოგნი ფიქრობენ, ვითომ ამით კაცობრიობის ეკონომიური და კულტურული საქმიანობა დაწვრილმანდება და ვერასფერს დიდს და თვალსაჩინოს ცალკ-ცალკე დაქუცმაცებული ერები ვერ გააკეთებენ. სრულებითაც არა. თანამშრომლობა, თავისუფალი კოოპერაცია უფრო ძლიერი სავალეებაა ხალხთა ერთი მეორესთან დასახლოებლათ და საერთო საქმისთვის სამუშაოთ, ვინემ შექარა და ძალდატანება. სახელმწიფოთა თავისუფალი ფედერაციები და კონფედერაციები, მიზნობრივი კავშირები ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკურ დანიშნულებით, სავალდებულო არბიტრაჟი სადავო საკითხების გადასაქრებათ, ყოველივე ეს, შეგნებულათ და ნებაყოფლობით მიღებული, საერთო თავისუფლების პირობებში, აახლოებს ხალხებს ერთი მეორეს და ნიადაგს აცლის ყოველგვარ უთანხმოების გამწვავებას მათ შორის; უცხო ხალხთა ძალით გაჩერება კი თავის საზღვრებში—თუნდაც ამას ფედერაციის და კონფედერაციის სახელი ეწოდებოდეს—მრავალგვარ უთანხმოების საგნად ხდება და ხშირად, როგორც ვთქვი, სამწუხაროთ თავდება ხოლმე.

თუ დამორჩილებული ერები ეროვნულ თავისუფლებისკენ მიისწრაფიან და ყოველგან, ვეროპაშია ეს, აზიაში თუ აფრიკაში, დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოების შექმნას ეტრფიან, ამავე დროს ჩვენ ვხედავთ ისეთ ორგანიზაციების მოწყობასაც, ერების დამაკავშირებელი და გამაერთიანებელი რომ არიან, რეჟიონალურათ თუ მსოფლიო მასშტაბით, ხოლო თავისუფალ პირობებში და ცალკე ადამიანის

და ცალკე ერის უფლებების და ღირსების დაცვით და პატივი-სცემით^{*)}. «პატარა» ერების ინტერესია ასეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს თავი შეაფარონ და თუ დიდი ქვეყნებიც, ხელთ რომ უჭირავთ უდიდესი ძალაუ-უფლება, ასეთ ორგანიზაციებს მხარს დაუჭერენ და გულწრფელად გაამაგრებენ, მაშინ ყოველგან ეროვნული საკითხი სამართლიანად და უმტკივნეულოდ მოწესრიგდება და მშვიდობიანობაც ქვეყნათ განმტკიცდება.

ხალხთა ერთი მეორეში ძალით გათქვეფა, «პატარა» ერების «დიდებისთვის» მსხვერპლად მიტანა დაეიწყებას ნიშნავს «პატარა» ერების მიერაც შექმნილ თავისებურ და მრავალფეროვან, მაგრამ კაცობრიობისთვის ერთნაირად ძვირფას ნივთიერ და სულიერ ღირებულებებისას, საერთაშორისო ცოდნის, მწერლობის და ხელოვნების მდიდარ საღაროში დღემდის რომ თავმოყრილია. დიდი ფილოსოფოსებიც ერანზე, სპინოზა (პოლანდიელი) და ჟან-ჟაკ რუსსო (შვეიცარიელი), რეფორმაციის მამათმთავარი იოანე ჰუსს (ჩეხი), გამოჩენილი ასტრონომი კოპერნიკ (პოლონელი), დიდი ოსტატები ხელოვნების სულ სხვადასხვა დარგში—მხატვრები: რემბრანდტ (პოლანდიელი) და რუბენს (ფლამანდიელი), კომპოზიტორი შოპენ (ნახევრად პოლონელი და პოლონეთში აღზრდილი), მწერლები და პოეტები იბსენ და ბიერნსონ (ნორვეგიელები), ბრანდეს და ანდერსენ (დანიელები), ვერჰაერს და მეტერლინკ (ბელგიელები), ჩეხნი დიდი რუსთაველი, მესხიერებაში უცებ მოსული მხოლოდ ზოგიერთი სახელები, ძველ და ახალ დროის, მაგალითისთვის რომ მოვიყვანოთ,—ყველა ესენი, «პატარა» ერის შვილნი და მათ წიადში აღზრდილნი, არ ამშვენებენ განა მთელ კაცობრიობას?

«პატარა» ერების მსოფლიოს რუქაზე წაშლით ან დამორჩილებულ ერების მონობაში დატოვებით ზარალობს კაცობრიობა მთლიანად აღებული: არც მონობაში და არც უცხო და უჩვეულო ნიადაგზე ადამიანის შემოქმედებითი ნიჭი სავსებით ვერ გაიშლება. ამიტომ შეუძლებელია, რომ დემოკრატიულ მსოფლმხედველობამ, ასულდგმულებულმა კაცობრიობის რეალურ და საერთო ინტერესებით და არა ცხადად თუ ფარულად გამსუვალულმა ეგოისტურ და რასიულ სულისკვეთებით, მხარი არ დაუჭიროს დამორჩილებულ ერთა მისწრაფებას თავისუფლად არსებობისთვის, სულ ერთია «დიდი»

^{*)} ასეთი ორგანიზაციები ბევრია. მაგალითად: «გაერთიანებულ ნაციათა ორგანიზაცია» (U. N. O. ან O. N. U.), ორგანიზაცია ევროპის ეკონომ. თანამშრომლობის (O. E. C. E.), გაერთიანებული ნაციების ორგანიზაცია აღზრდისა, ცოდნისა და კულტურისთვის (U. N. E. S. C. O), კავშირი ბელგიის, პოლანდიის და ლიუქსენბურგის (Benelux), «ატლანტიკის პაქტი» და სხვა მრავალი.

თუ «პატარა» ეს ერი. ამით დემოკრატია ემსახურება არა რომელიმე ერის მცირე კუთხურ ინტერესებს, არამედ იდეალებს საერთაშორისო სოლიდარობისას, კაცთა შორის მორალის, მშვიდობისა და სათნოების მატარებელ ძალისას.

ჩვენი თაობა მოწმეა იმის, თუ რამდენათ დემოკრატია ძლიერდება ქვეყნად, მთელ მსოფლიოში, იმდენათ მატულობს ეროვნული მოძრაობაც და დამორჩილებულ ერთა ლტოლვა — და შანსიც — თავისუფლათ არსებობისთვის.

ოდესღაც ვერნერ ზომბარტი, გერმანიის ცნობილი მეცნიერი — პროფესორი, სწერდა:

«როცა კ. მარქსი იწყებს კომუნისტურ პარტიის მანიფესტს ცნობილ სიტყვებით: «ისტორია ყველა საზოგადოებისა დღემდის იყო მხოლოდ ისტორია კლასთა ბრძოლის»-ო, მან გამოსთქვა ჩემის ფიქრით ერთი იმ უდიდეს ჭეშმარიტებათაგან, რომელნიც ავსებენ ჩვენს საუკუნეს. ხოლო მას არ უთქვამს მთელი სიმართლე. არ არის სწორი, თითქოს საზოგადოების მთელი ისტორია მხოლოდ კლასთა ბრძოლით შემოიფარგლებოდეს. ჩვენ თუ გვსურს «მსოფლიო ისტორიის» ჩამოსხმა ერთ ფორმულაში, მე მგონია, ჩვენ იძულებული ვიქნებით ვსთქვათ, რომ საზოგადოების მთელი სოციალურ ცხოვრების ისტორია ორნაირ წინააღმდეგობათა ირგვლივ ტრიალებს. როგორც ორი პოლიუსის ირგვლივ; მე მათ ვუწოდებდი სოციალურ და ნაციონალურ წინააღმდეგობას, ვიღებ რა სიტყვას «ნაციონალური» იმის ფართო მნიშვნელობით»-ო (იხ. მისი «სოციალიზმი და სოციალური მოძრაობა მე-19 საუკუნეში», ფრანგ. გამოცემა 1898 წ., გვ. 1—2). თუ ვ. ზომბარტის შენიშვნა ნაციონალურ საკითხის მნიშვნელობის შესახებ საერთოდ საფუძვლიანია (ეს არნიშნავს მთელი მისი მსოფლმხედველობის, და განსაკუთრებით უკანასკნელ დროისას, გაზიარებას), იმის დასაბუთება საზოგადოებრივ ცხოვრების დღევანდელ მაგალითებით კიდევ უფრო შეიძლება, ვინემ ეს იმ დროს, ამ სამოცი წლის წინად, შეიძლებოდა. დღეს ყველა ხედავს, რომ ნაციონალურ მოძრაობამ თანამედროვე საზოგადოებაში აშკარად ისეთივე მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა, როგორც სოციალურმა. და ეს ორი მოვლენა, მოძრაობა სოციალური და ნაციონალური, ერთი მეორეს კი არ ეწინააღმდეგება, არამედ ერთი-მეორეს ავსებს: ნაციონალურ საკითხის სამართლიანათ მოწესრიგება ერთი უმნიშვნელოვანესი ხელის შემწყობი პირობაა სოციალურ საკითხების სამართლიანათ მოწესრიგებისთვის და სოციალურ სამართლიანობის ქვეყნად დამყარება აუცილებლად გულისხმობს დაჩაგრულ ერთა ემანსიპაციასაც.

აპრილი, 1952 წ.

ბ. ბ.

მ ო რ ი ზ ი თ ა ვ ღ ა ს ს მ ა

დაპყრობილ ერის ცხოვრებაში ხშირია მოვლენა, როცა მხატვრული მწერლობა, საერთოდ ხელოვნება იქცევა ისეთ ტრიბუნათ სიიდანაც მოდის პათოსი გამკლავების, გამძლეობისა და ბრძოლის; იქიდან ისმის ხმა სასოწარკვეთილების. ერის ტანჯვის თუ ვაების, ამავე დროს ხმა ძირმაგარი იმედის, ასახვა მომავალ პერსპექტივების, დავრდომილ აწმყოს ფრთის შესხმა,—მომავალ გამარჯვებისთვის მზადება...

საქართველოს წარსული ძეგლები ნათლად მოწმობენ ამ მოვლენათა სრულყოფას, როცა სამშობლოს ბედისთვის მე-ბრძოლი ქართველი ტყვეობაში თუ უცხოეთში გატყორცნილი პოეტათ იქცევა, როცა ომში გადატენილ იარაღს სცვლის კალმის წვეტი,—სიტყვა იქცევა ბრძოლის ტალღებთ... წარსულის იდეალიზაცია არაა მართლ დატირება წარსულის, არამედ ლამპარი აწმყოსთვის, მაჩვენებელი მომავლის, საგანი თავდადებულ აღმაფრენისთვის... თითუელი ერი თავის იტორიულ უბედურების დროს მიმართავდა ამ წარსულს, იქ აცხოველებდა სურათებს. ასე მოიქცა იტალიის ახალგაზრდობა, რომელმაც დანტეს ნაწარმოები პატრიოტულ სახარებათ დასახა, ლეონარდო კი უხმობდა ძველ სვეტებს, თაღებს, წარსულის ლანდებს, ასეთივე ისტორიულ სურათებს შლიდა პოლონეთის დიდი პატრიოტი მიცკევიჩი, გერმანიაში შილერი და სხ. ქართული მწერლობა არა თუ აცდა ამ გზას, ის მუდამ იდგა წარსულში ეროვნულ ცხოვრების სადარაჯოზე. იყო მე 18 საუკუნის აღორძინების ხანის, მე-19 საუკუნის რომანტიულ მწერლობის მელანქოლიური ქნარის აკვნეხება თუ ილია-აკაკის და მათ მიმდევართა იმედიანი მოძახილი ის მუდამ სამშობლოს ბედს დასტრიალებდა.

საქართველოს დღევანდელ ოკუპაციის ხანაში მან განიცადა სხვადასხვა ხასიათის თავდასხმები, დამცირება. მეთოდური მიდგომით ჩაჰკლეს ყოველგვარი ცდა თავისუფალ შემოქმედებისა. დააყენეს რა სახელმწიფო ხელისუფლების სამსახურში, უბრძანეს ეფიქრათ, ეაზროვნათ და ეწერათ კომპარტიის პოლიტიკური გეზით; არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენმა მწერლობამ არ აღმართა დროშა წინააღმდეგობის, არ შეეცადა სხვადასხვა მიხვეულ-მოხვეული გზით, ლიტერატურული ხერხითა და ფერადებით გამოეხატა ნაციონალური გლოვის სურათი, გუშინდელი დაკარგული თავისუფლების

დატირებით აღეძრა სურვილი უკან მოსახედათ, ერის სასი-
ცოცხლო ძალთა გასამაგრებლათ, ეროვნული კულტურის
გადარჩენის მიზნით ხშირად მოემართა კალამი საკუთარ სუ-
რვილის წინააღმდეგ. ხელისუფლება თითქოს თვალს ხუჭავ-
და, ითმენდა ასეთ ლიტერატურულ დაჯგუფებებს, რადგან
მას არ შეეძლო ერთის ხელის დაკვირვით, დეკრეტით გაეუქმე-
ბაი ის რაც საუკუნოებიდან მომდინარეობდა, რომლის ძირი
მყარეთ იყო დარგული ქართველი ერის ტრადიციაში,—თა-
ვისუფლება ზეგარდმო ნიჭით დაჯილდოებულთა მიმართ.
ხელისუფლებას, რომელსაც თავი მოაქვს თვითველ ერის ნა-
ციონალურ-ეროვნულ კულტურის დამცველად არ შეეძლო
აემხედრებია საზოგადოებრივი აზრი თავის წინააღმდეგ, სანამ
არ აღიზრდებოდა თაობა ახალი თვისებებით დატვირთული,
თავისუფლების ხილვის გარეშე აღზრდილი, დიქტატურის
მორჩილი მის კარნახით მოაზროვნე და მოქმედი. მოხდა მო-
სალოდნელი. მწერალთა ყოველ წლიურ ყრილობებზე მიდის
იერიშები ამა თუ იმ დაჯგუფებაზე, ამა თუ იმ ოდნავ გამო-
ჩენილ მწერალზე.

პოეზიაში თუ ბელეტრისტიკაში კომუნისტ-ჯაყობის
გამომწვეურებით შემოფოთდა ხელისუფლება და შეუდგა დარ-
ჩენილთა განადგურებას, ზოგნი დაიმორჩილა, ზოგნიც მოს-
პო... კალამი შემომქმედის.—ბუნებრივი ქადაგი თავისუფლე-
ბისა და ჭეშმარიტების,—გახდა ქებათა-ქების შემსხმელი
პირწავარდნილ ტირანიისა.

უკანასკნელი თავდასხმისა და შემოტევის შინაარსი გან-
საკუთრებული თვისებისაა, ის ხდება მთელი საბჭოთა კავ-
შირის მასშტაბით, წინასწარ დასახულ გეგმის მიხედვით. მი-
ზანია თანდათანობით აღმოფხვრა მხატვრული მწერლობიდან
ნაციონალურ თვისებათა გამოაშკარავების. ერთ მთლიან სა-
ბჭოთა მოქალაქის პიროვნების გამოკვეთა განსაზღვრული
სულისკვეთებით, განსაზღვრული სულიერი და მოქალაქობ-
რივი შეგნებით. ამიტომაც სრულიად საბჭოთა კავშირის
მწერალთა ყრილობაზე სპეციალური მოხსენებები იქნა გაკე-
თებული სომხეთის, ყაზახისტანის, აზერბაიჯანის და საქარ-
თველოს მწერლობაზე; თავს დაესხნენ ადგილობრივ—საკუთარ
კრიტიკოსებს, რომელნიც ვერ ხედავენ ნაციონალისტურ გა-
დახრებს ადგილობრივ გამოცემებში. ამიტომ, ამიერიდან
საჭიროა «უფროსი ძმის» რუსის თვალმა ჩაიხედოს ადგილო-
ბრივ ეროვნულ ცხოვრების დუღილში და იქ შეაჩეროს ლი-
ტერატურული ნაკადი ევროპისა და ნაციონალისტურ გადა-
ხრებისკენ. ამ მოსაზრებით თვით კლასიკურ მწერლობაში
ჩახედვა, მისი მიბაძვა ეშმაკეულად არის აღიარებული. წინად

ახალ სალიტერატურო ძალებს ურჩევდნენ ამით სარგებლობას, მიბაძვას, მაგრამ კლასიკური მწერლობა აღორძინდა, გაიზარდა ნაციონალურ ვითარების ნიადაგზე, მაშასადამე მასში ჩადებულ აზრთა ათვისებით და მათი განახლებით გაიღვიძებდა თვითეულ ერში დამოუკიდებელ ცხოვრებისკენ სწრაფვის სურვილები, რადგან ძველ ლიტერატურულ ძეგლთა ამოგდება არც ისე ადვილია დაიწყო მუშაობა მეორე მიმართულებით. უმტკიცებენ თვით საკუთარ ადგილობრივ ძალებს, რომ თვითეულ ერის კულტურული აღორძინება მიმდინარეობდა, რუსული კულტურის, რუსული ლიტერატურის ზედგავლენით, რუსეთიდან შემოტანილ ახალ-ახალი ნაკადებით.

ეს რუსული ნაციონალიზმი წითელი პირბადით ევლინება კავშირში მოქცეულ მცირე ერებს და თავის გავლენის მოსაპოვებლათ და გასაძლიერებლათ ამახინჯებს წარსულს, ისტორიულ გამოკვლევებს, აყალბებს ისტორიულ მოვლენებს. თუ რამდენათ აშკარაა ამ მხრივ მისი განზრახვები სჩანს მართო ერთი მაგალითიდანაც, ისტორიულ რომანის «დავით აღმაშენებელი»-ს ავტორზე მიიტანეს იერიშები, მას სხვათა შორის ეკითხებიან თუ სადაა მის რომანში რუსები. «მართალია,—აღნიშნავს რუსი კრიტიკოსი, ჩვენ ხელთ არა გვაქვს, იმის საბუთები თუ რა დამოკიდებულება არსებობდა ამ საუკუნოებში რუს-ქართველთა შორის, მაგრამ მწერლის ოცნებას შეეძლო შეექმნა ასეთი მხატვრული ტიპები»-ო. მართლაც, რომ ავტორს დავით აღმაშენებლის სასახლეში ერთიმრჩეველი რუსი დაესკუპებია, მის თავში ბრძნული აზრები ჩაედვა, აელაპარაკებია, ავტორი მიიღებდა ქება-დიდებას და არა გაკიცხვას.

უკანასკნელი ომის ხანაში საჭირო იყო პატრიოტული ჰანგების აელერება, თითეულ კუთხის ბუნების, მიწა-წყლის სამოთხეთ დასახვა, ისტორიულ პირთა გაცოცხლება, გადიდება,—მათ გმირულ საქმეთა სამაგალითოთ ჩვენება, რომ ამით ომში გაყვანილ ახალგაზრდობის ერთგულეება მიეღოთ. ესლა კი როცა ერთმა უკრაინელ მწერალმა დასწერა: «გიყვარდეს უკრაინა», აგორდა მის წინააღმდეგ თავდასხმათა ტალღები, ეს ამბავი იმდენათ გაიზარდა, რომ უკანასკნელ საბჭოთა კავშირის მწერალთა ყრილობაზე განსაკუთრებული კრიტიკით გამოვიდნენ უკრაინელ მწერლის წინააღმდეგ...

როგორც ქართულ ისე მცირე, სხვა ერთა ლიტერატურულ ნაწარმოებთა რუსულად თარგმნა სრულებით არაა საძრახისი, პირიქით საჭიროც არის, რომ რუსისი ერი გავცნოს სხვა ერთა სულიერ კულტურის მიმდინარეობას, მაგრამ ამ მუშაობას შეუძლებელია, როგორც დღეს სჩანს, კავშირი არ ჰქონდეს უკანასკნელ მხაკვრულ ამოცანასთან. ცენტრი აღარ ნდობს ადგილობრივ თვით კომუნისტ-კრიტიკოსებს, რუს

კრიტიკოსების ლაბორატორიაში საანალიზოთ გადაცემული ნაწარმოები კი უნდა იყვეს შედგენილი რუსულ ენაზე... მათი განხილვით მოსკოვი მუდამ გაცნობილი იქნება ადგილობრივ ნაციონალურ მისწრაფებებს და საშვალემა ექნება ახლო ჩაიხედოს მცირე ერთა ეროვნულ ცხოვრების დუღილში. ამ ვითარების არსებობას კიდევ უფრო ნათელყოფს ის თუ როგორ მოეპყრო რუსის კრიტიკოსები სხვა ერთა კოლხოზურ ცხოვრებიდან მოცემულ მხატვრულ ნაწარმოებთ. შეუძლებელი იყო ასეთ ნაწარმოებში გამოყვანილ მუშას არ ელაპარაკა საკუთარ ყოველ-დღიურ ჭირ-ვარამზე, თუნდაც ლხინზე, კმაყოფილებაზე, მაგრამ იგი იქნებოდა ადგილობრივი ელფერიტა და თვისებით. ეს კი ნიშნავს ნაციონალისტურ გადახრას. რუსი-კრიტიკოსი კი მოითხოვს მაგალითად ქართველ მუშის ფიქრები და აზრები უნდა სცილდებოდეს საზღვრებს, იგი უნდა აზროვნებდეს საბჭოთა კავშირის მოქალაქის შეგნებით, უნდა განიხიანოს ადგილობრივ პატარა-წვრიმალ ამბებიდან — უნდა ამალდეს, მწერალი აბა რის მწერალია თუ ასეთ ტიპებს ვერ დახატავს.

განსაკუთრებული დაქინებით ტარდება ცდები ახალი თერმინის «უფროსის ძმის» ასათვისებლათ, მის კულტურულ და ლიტერატურულ უპირატესობის საჩვენებლათ, რომ იგი მოწოდებულია უხელმძღვანელოს ადგილობრივ ეროვნულ კულტურის დამაგრებასა და აყვავებას. მხოლოდ მას შეუძლია წინ წარუძღვეს, გზა გაუკაფოს სხვა ერებს. ამ ამოცანის შესრულება ევალემა ადგილობრივ კომუნისტებს და აი საქართველოს კომპარტიის მდივანი შადური ცდილობს სხვას არ ჩამორჩეს ერთგულებაში, იანვრის «პრავდა»-ს ნომერში სწერს: «ქართველი ხალხი მუდამ მადლობელი იქნება დიდი რუსეთის ხალხის, რომელიც ყოველ გასაპირის და უბედურების დროს უწვდიდა მას დახმარების ხელს». შეუძლებელია ამაზე მეტი სიცრუისა და სიყალბის თქმა, ისტორიულ სინამდვილის დამალვა.

ნათქვამიდან აშკარად სჩანს თუ რა შორს მიდის კომრუსული ნაციონალიზმის მოთხოვნილებანი, რამდენათ ღრმა და შედეგებით სავსე დაწყებული თავდასხმები საბჭოთა კავშირში მოქცეულ ერთა კულტურულ და ლიტერატურულ ძალებზე; რუსიფიკაცია ხდება დიდათ მოფიქრებული ხერხით, ადგილობრივ ენის საშვალეებით, ადგილობრივ ლიტერატურაში რუსული გავლენისა და თვისებათა ჩანერგვით, თუ შეიძლება ითქვას საიმპერიო აზროვნების შემუშავებით, ერთ საბჭოთა მოქალაქის პიროვნების ჩამოყალიბებით.

ბ. სარჯველაძე.

ძაბრთველი სოციალ-დემოკრატია.

1. მომავალ 1953 წ. თებერვალში სრულდება 60 წელი მას შემდეგ რაც ქართველი სოციალ-დემოკრატია გამოვიდა საზოგადო ასპარეზზე საკუთარი სოციალური და ნაციონალური პროგრამით. ბატონობა ხალხის, ბატონობა ერის—ამ პროგრამის ძირითადი მუხლები. მან მიიღო სახელწოდება «მესამე დასი».

2. ის დაუპირდაპირდა თვითმპყრობელობას რუსეთის მასშტაბით, დიდ-მემამულეთა მიწათმფლობელობას და კაპიტალისტების გაბატონებას საქართველოში.

3. ის აღორძინდა და განვითარდა სრულიად დამოუკიდებლათ რუსეთის ასეთივე მიმდინარეობისაგან. ათი წლის მუშაობის შემდეგ ნათელი გახდა, რომ პატარა ერის ძალა სრულიად არ კმარა დიდი რუსეთის წყობილების დასანგრევად და გადასწყვიტა შეერთებოდა რუსთა ასეთივე დაჯგუფებას და მით, საერთო ღონით, თავისი დროშის გამარჯვებას შეერთება მოხდა 1903 წ. მთელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის საერთო ყრილობაზე ლონდონში.

4. ამ რევოლიუციური ძალების გაერთიანება მოხდა ერთი ძირითადი მოთხოვნის პირველ რიგში დაყენებით—მეფის რეჟიმის დამხობა და ხალხური რესპუბლიკის დაარსება. ყველა დანარჩენი მოთხოვნისათა განხორციელება, ამით შორის ნაციონალური საკითხისაც, ხდება შესაძლებელი ამ ძირითად პრობლემის გადაჭრით, როგორც პოლიტიკური რევოლიუციის შედეგი.

5. ამ დიდ დაჯგუფებას, რუსეთის სხვადასხვა ერის სოციალ-დემოკრატიას სხვადასხვა ასპარეზზე მეთაურობდა ქართველი სოციალ-დემოკრატია. ოთხივე დუმის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციათა ლიდერები იყვენ ქართველი სოც.-დემ. დეპუტატები. დიდი რევოლიუციის მუშათა საბჭოს თავმჯდომარე და ხელმძღვანელი იყო ქართველი.

6. ქართველი სოც.-დემოკრატია დაუპირდაპირდა ბოლშევიზმს თავიდანვე, მისი აღორძინებისთანავე, 1903 წ. ლონდონის კონგრესზე და მას შეებრძოლა მთელი თავისი ძალ-ღონით. საქართველოში ის მან გაანიავა სავსებით.

7. ამიტომ როცა რუსეთში მუშათა საბჭოებს და მით მთელ რევოლიუციას დაეპატრონენ ბოლშევიკები, საქართველოში მთელი რევოლიუციური ასპარეზი დარჩა ქართველ სოც.-დემოკრატებს და ისინი შეუდგენ თავისი პროგრამის განხორციელებას.

8. რუსეთის და საქართველოს სავალი გზები ბუნებრივად გაიყარენ; ისინი ერთიმეორეს დაშორდენ პოლიტიკურათ, სოციალურათ და ნაციონალურათ.

9. ქართველი სოციალ-დემოკრატიის მსოფლმხედველობა დემოკრატიზმზე ეწინააღმდეგებოდა როგორც რუსულს ისე ევროპის სოციალისტებისას. ის იყო გადაჭრით ანტი-ბოლშევიკური, ამ ხაზზე მას არ ჰქონდა არავითარი მიხვედ-მობხევა. ის იყო ანტიბურჟუაზიული, მაშასადამე ანტიპლუ-ტოკრატიული, ნაციონალური ბურჟუაზია და პლუტოკრა-ტია არ არსებობდა. ის იყო ანტითავად-აზნაურული, ის იყო მომხრე და წინამძღოლი გლეხის, მუშის და წვრილი ბურჟუა-ზიის. ამ სამი კლასის პოლიტიკური ბლოკი დაედვა სათავეთ ყველა სოციალურ და ნაციონალურ გარდაქმნას.

10. რაკი ქართული სოციალიზმი ნიშნავდა ხალხურს და რევოლიუციურს, ამიტომ პირველი მისი ნაბიჯი შეიცავდა მუშათა და გლეხთა, ამ ერის დიდი უმრავლესობის, ინტერე-სების დაცვას და მით დაბალი სოციალური საფეხურიდან მალა ამოყვანას და ნაციის ფუძეთ გამოცხადებას. ეს კი მო-ხდა აგრარიული რეფორმით: მიწათმფლობელ წოდებას ჩა-მოერთვა დიდი მამულები, ნაწილი, სახნავ-სათესი მიწები დაურიგდა უმიწაწყლო და მცირე მესაკუთრე გლეხობას, ხო-ლო დიდი გაშენებული მამულები, — ტყეები, საბალახოები გამოცხადდა ნაციონალურ საკუთრებათ. მთელი ეს რეფორმა ჩატარდა სავსებით მშვიდობიანათ, კანონიერი გზით, უპრო-ტესტოთ; მას არავითარი კონტრ-რევოლიუცია არ გამოუ-წვევია, მემამულეთა წოდებამ თავისი კერძო ინტერესები შე-სწირა საერთო ინტერესებს.

11. ერის ხელში გადავიდა აგრეთვე მთა-მადნები, გზები, წყლები, სხვილი კულტურული და მუშავებული მამულები, რომელთა გაყოფა და დანაწილება იქნებოდა ეკონომიურათ უკან დაქანება; აგრეთვე რუსეთის ხაზინის მთელ საკუთრებას დაეპატრონა ნაციონალური მართველობა.

12. ამნაირათ საქართველოში დამყარდა კოორდინაცია, მოთანხმებული არსებობა სახელმწიფო და კერძო ეკონომი-კას შორის და მით დაუპირდაპირდა რუსეთის ბოლშევიკურ. ძველ აზიურ ეკონომიკას.

13. ქართული სოც.-დემ. სოციალიზმი გახდა ერთდამივე დროს ხალხური და ნაციონალური, დიდათ განსხვავებული რუსეთის და დასავლეთის სოციალ-დემოკრატიული მიმდინ-ნარეობისაგან.

14. ქართველი მცირე რიცხოვანი მუშათა კლასი ღებუ-ლობს ყველა აუცილებელ სოციალურ რეფორმებს კერძო და სახელმწიფო ეკონომიკის ფარგალში და მჭიდროთ ეკავ-შირება ერის დიდ უმრავლესობას. მცირე მესაკუთრეთა კლა-სი, რამელსაც ის პოლიტიკურათ მეთაურობს, დგება მთლი-ანათ ქართველ სოციალ-დემოკრატიის რიგებში.

15. ეს ახალი სოციალური წყობა იქნა დადასტურებული მთელი ერის მიერ, ყველა მისი დაჯგუფების, პარტიათა და

წოდებათა მიერ. არავითარი იდეური თუ პოლიტიკური ბრძოლა ამ წყობის წინააღმდეგ არ დაწყებულა.

16. ხალხის ბატონობა დაეყრდნო საყოველთაო საარჩევნო სისტემას ყველა თავისუფლების გარანტიით გარდა ერთისა, გარდა თვით რეჟიმთან, ხალხის ბატონობასან ბრძოლისა. მაშასადამე დამყარდა შეკვეცილი, არა ანარქიული და ბურჟუაზიული თავისუფლება არამედ ხალხური, ხალხის სუვერენიტეტის მცნობი და მის ჩარჩოში მოთავსებული.

17. ხალხის ბატონობის მთავარი პოლიტიკური იარაღი გახდა ერთ პალატიანი პარლამენტი, პარლამენტარიზმის გამორიცხვით. საპარლამენტო კომბინაციები, საკულისო ჩაწყობა და მთავრობათა ცვლა აიკრძალა. პალატა ირჩევდა მთავრობას ერთი წლის ვადით და იყო ვალდებული აესრულებია მისი დადგენილებანი. საერთო პოლიტიკური პასუხისმგებლობა აწვა მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარეს, ხოლო მინისტრები ატარებდენ საუწყებო პასუხისმგებლობას.

18. აი ეს ახალი საქართველო, საქართველო გამთლიანებული ტერიტორიალურათ, სულიერათ, ნაციონალურათ შექმნა ნახევარი საუკუნის სახალხო მოძრაობამ ქართველი სოციალ-დემოკრატიის მეთაურობით, მისი ბრძოლით და თავის დადებით.

ამჟამათ, ამ დავარდნის ხანაში, იგივე დაჯგუფება აგრძელებს იმავე ხაზს, იბრძვის დავარდნილი ახალი საქართველოს აღსადგენათ.

საქართველს ხ.-დ. პარ. საღვარ-გარეთელი ბიურო.

წიკილი საქართველოდას.

ცნობილია, რომ საქართველოს თავისი კულტურული დონეთი, წერა-კითხვის მცოდნეთა და ინტელიგენტურ ძალების სიუხვით—პირველი ადგილი უჭირავს მთელს საბჭოთა კავშირში. ჯერ კიდევ მეორე საერთაშორისო ომის წინ საქართველოს უნივერსიტეტის სრული დეცენტრალიზაცია მოხდა. მისი მთავარი ფაკულტეტები გადატანილ იქნა პროვინციებში და სპეციალური ინსტიტუტის სახით გადაიქცენ უმაღლესი სწავლის ტაძრათ. ამრიგად დღეს საქართველოში 18 უმაღლესი სასწავლებელი ითვლება, მაგალითად: თელავში აგრონომიული ინსტიტუტი, ჩაის და ციტრუსების კულტურის ინსტიტუტი აცანაში (გურია) და სხ. ისედაც ცნობილია, რომ ქართველი ხალხი ჯერ კიდევ ნიკოლოზის დროს იჩენდა დიდ მისწრაფებას სწავლისადმი და ღარიბი გლეხი მუდამ დაცნებობდა თავის შვილისთვის მიეცა უმაღლესი სწავლა. დღეს კი ეს ლტოლვა უმაღლესი ცოდნისადმი გადაიქცა ახალ-

გაზრდობის მთავარ მისწრაფებათ. ეს ბუნებრივიც არის. სწავლა და ტექნიკური ცოდნის დაუფლება ჩვენს სინამდვილეში წარმოადგენს ერთადერთ იარაღს დუხჭირ ცხოვრების ცოცხათ მაინც გასაუმჯობესებლათ.

აი სწორედ ამიტომაც უმაღლესი სასწავლებლები და სპეციალური ტექნიკუმები გაქედნილია ქართველი ახალგაზრდობით. უმაღლესი სასწავლებლები წლიურად უშვებს 5.000 სპეციალისტს. 90 პროც. ამ ახალგაზრდობისა თავს ირჩენს საკუთარი შრომით, დაქანცული, ხშირად მშვიერი სწავლას აგრძელებს და იობის მოთმინებით ცდილობს ცოდნას დაეუფლოს. ამოდენა სწავლა-მიღებულ ახალგაზრდობაში, ცხადია, იწვევს ტექნიკურ და ინტელიგენტურ ძალების სიჭარბეს საქართველოში. საქართველოს შრომის «ბაზარი» გასაგებია, ვერ იტყვის და ბევრს მათგანს უხდება «ბედის» ძებნა სხვაგან. სწორედ ეს არის მოსკოვის დღევანდელი ნაციონალური პოლიტიკის გეზი...

პრივილეგიათ და «ნებაყოფლობათ» მოიცვა არა მარტო ახალგაზრდობა, არამედ ბევრი უკვე ადგილზედ მოწყობილი ინტელიგენცია სტოვებს საქართველოს სამეურნეო და სახელმწიფო უწყებებს და მიდის რუსეთში და სხვა საკავშირო რესპუბლიკებში. საქართველოში კი მოყავთ რუსი და სხვა რესპუბლიკების ინტელიგენცია. ჩვენ გვაქვს უტყუარი ცნობები, რომ მოსკოვს გადაწყვეტილი აქვს გასტენოს ნაციონალურ-რესპუბლიკების ინტელიგენცია (პარტიული თუ უპარტიო) ერთი ერთი—საბჭოთა ერთი მზგავსად ამერიკისა. ხშირად გაიგონებთ ფრაზებს—«საბჭოთა კავშირი უნდა გარდაიქმნეს, გადადუღდეს ერთ მონოლიტურ ერთად რუსი ერის მეთაურობით.

ქართველი ახალგაზრდობის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი საშინელი თავდადებით ცდილობს თავი დაიძვრიონოს ამ დაგებულ მახედან და მოსკოვის ვერაგული გარუსების პოლიტიკა ჩაშალოს.

დღეს იშვიათად შეხვდებით საქართველოში კოლხობებს და სოფხობებს, სადაც ათობით უმაღლეს სწავლა დამთავრებულნი—ინჟინერი, ექიმი, ეკონომისტი თუ ფიზიკო-მათემატიკოსი—არ მუშაობდეს, როგორც გლენი თოხით და ნამგლით ხელოში. ძნელია საბჭოთა ეკონომიურ სისტემის პირობებში მოსკოვის ამ მუხანათურ პოლიტიკასთან ბრძოლა, უფრო ძნელია ვინემ ეს შეიძლება თქვენ წარმოიდგინოთ უცხოეთში, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ ეს გააფთრებული ბრძოლა უკვე სწარმოებს და ჩვენ გვეშინია, თუ ეს დიდხანს გაგრძელდა მოსკოვი მართლა შესძლებს ჩვენს კულტურულად და ეროვნულად განადგურებას.

რუსიფიკაციის პოლიტიკა მარტო ზემო მოყვანილი მაგალითებით, სამწუხაროდ, არ ამოიწურება. ომის შემდეგ რუ-

სული ენა. როგორც ლენინის ენა, სავალდებულოდ გამოცხადდა სასამართლოებში, დაწესებულებები. უნივერსიტეტში საგნების ჩაბარება სავალდებულოა რუსულ ენაზე.

პირველდაწყებით სასწავლებლებში ქართული ენის ხარჯზედ, სავალდებულოდ გამოცხადდა რუსული ენა. ეს უკანასკნელი აქ ჩაატარეს, ბოლშევიკებისათვის ჩვეული «კამპანიებით» და მიზანსცენებით. თითქოს «თვით ქართველ პროფესორ-მასწავლებელთა მოთხოვნით მოსკოვი დასთანხმდა ქართულ სკოლებში ლენინის ენის სავალდებულოდ შემოღებას».

ომამდის რუსიფიკაცია ტარდებოდა ლოზუნგით: «ფორმა ნაციონალური—შინაარსი სოციალისტური». დღეს ეს ნიღაბიც აიხადეს და ქართული კულტურა, ენა და ლიტერატურა უკან ჩამოაყენეს. მის ადგილს რუსული და რუსულიდან ნათარგმნი იჭერს. ეჭონომიურ სიდუხჭირეს, უუფლებობას, პოლიტიკურ თარეშს, ენაზე დადებულ ბოქლომს მიემატა ეს ახალი და ყველაზედ საშიში სატკივარი.

თქვენ ალბად შეამჩნევდით, რომ საქართველოს მცხოვრებთა რიცხვი სწრაფად იზრდება, შეიძლება ეს თქვენ გიკვირთ და კიდევ გინარიათ. სამწუხაროდ ეს ასე არ არის. ქართული ტომის რიცხვი მართალია გაიზარდა, მაგრამ იგი ნორმალურ ზრდას არ სცილდება. ხოლო საქართველოს მოსახლეობის დღევანდელი ზრდის მიზეზი სულ სხვაა. დღეს საქართველოში ასიათასობით ითვლება უცხო ტომის ხალხი ღმის დროს ან ომის შემდეგ აქ ჩამოყვანილი. მაგალითად პატარა გურიაში 15.000 მარტო უკრაინელ ქალს და კაცს ითვლიან. ეს საწყალი ხალხი მორეკილი აქ ძალით ჩაის და ციტრუსების პლანტაციებში სამუშაოდ. იქ ისინი მოიყვანეს იმ ქართველი გლეხების და მუშების მაგიერ, რომლებიც საქართველოდან კარაგანდაში და თურქმენისტანში გადასახლეს უკანასკნელ ათეულ წლების განმავლობაში. მართალია საქართველოში არ მომხდარა ის მასიური აყრა და გადასახლება მთელი სოფლების, როგორც ეს იყო საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებში, მაგრამ პოლიტიკურად არასაიმედო გლეხთა და მუშათა დაქვერ-გადასახლება ჩვენში ყველაზედ უფრო სასტიკი და მძაფრი იყო. ესეც თუ გნებავთ გარუსების, «საბჭოთა ერთი მონოლიტური» ერის შექმნის პოლიტიკის ნაწილთაგანია. მოსკოვი საქართველოს ჯანსაღ და მუშა ელემენტებს შუარუსეთში ერეკება და მის ადგილზედ მუშა ხელს რუსეთიდან და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან საქართველოში მოერეკება. აი ჩვენი მორიგი დიდი სატკივარი.

ჯეირანი.

საქართველო, 1952 წ.

რ ა ხ ლ ე ბ ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი

(წერილი საქართველოდან)

ომის ფსიხონი გახდა ჩვენი ცხოვრების მიუცილებელ ელემენტად. ხელისუფლების განუწყვეტელი და დაჟინებითი პროპაგანდა, ამ დარგში, ავსებს და იპყრობს ხალხის სულს და გონებას. კაზიონი პროპაგანდისტები და ულაღვად ჩავგჩინებენ ამერიკა-ინგლისის ბოროტ განზრახვებზედ. ხატავენ შემადრწუნებელ სურათებს ატომური ომისას. პროპაგანდის მიზანია—ხალხის ფსიქოლოგიურად ომისთვის მომზადება. მათში ყოველგვარი უცხოელისადმი სიძულვილის ჩანერგვა, შრომის ნაყოფიერების გაზრდა და ამით ერთი «მონოლიტური» საბჭოთა მუშტის ჩამოყალიბება. მაგრამ ამ აღვირახსნილი პროპაგანდის შედეგი წინააღმდეგი აღმოჩნდა: ხალხი პანიკამ მოიცვა. ომის შიში და ხვალისდელი დღის შავი აჩრდილი მას შრომის უნარს უკარგავს. ამის გამო შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად დაეცა. ყოველგან «გარღვევები» და «გეგმების შეუსრულებლობა» საერთო მოვლენად გადაიქცა; საერთო კრიზისმა მთელი საბჭოთა კავშირი მოიცვა. განსაკუთრებით, იგი მწვავე და აუტანელი ხდება ამერიკის მიერ სტრატეგიული ნედლეულის რუსეთში შეტანის აკრძალვის შემდეგ. ამის გამო, უკანასკნელი ცნობებით,—ტანკების, ავიაციის და ქიმიური დარგების პროდუქცია შემცირდა 25 პროცენტით. ეს კი ჩვენს პირობებში კატასტროფას უდრის და, როგორც ამბობენ, ამ გარემოებამ კრემლში დიდი ნერვიულობა გამოიწვია და შედეგად მოსკოვმა უკანასკნელად სასტიკი ზომები მიიღო დეფიციტურ მადნეულობათა ახალ საბადოების აღმოსაჩენად და სინტეტიური კაუჩუკის და ნავთის დამზადების გასაძლიერებლად. ამ საქმის ხელმძღვანელობა პოლიტ-ბიურომ მალენკოვს მიანდო. მალენკოვის ამ დარგის დიქტატორად დანიშვნას თბილისის კომუნისტური წრეები დიდ მნიშვნელობას აძლევენ. ამაში ხედავენ საკითხის სიმწვავეს და სერიოზულობას. თუ მალენკოვის მისია დამარცხდა და იგი უნაყოფო გამოდგა—არაა გამორიცხული, რომ მოსკოვი დაადგეს დასავლეთთან «მორიგების» პოლიტიკას დროს მოსაგებად.

საომარ ფსიხონს ვერც საქართველო და ამიერ-კავკასია აცდა. აქ ომის შიში გაცილებით მეტია და იგი მწვავე ხასიათს იღებს. «ამერიკის ვერაგ განზრახვებს» ემატება აღვირახსნილი პროპაგანდა ოსმალეთის წინააღმდეგ. მოსკოვის აგენტები აქ სრულ თავისუფლებას აძლევენ თავის ფანტაზიას. მათ თუ დაუჯერებთ—ამერიკა და ოსმალეთი შეთანხმდენ ატომით დაბომბონ და დაიკავონ ამიერ-კავკასია, ხოლო

მცხოვრებნი, ვინც გადაჩედა, აყარონ და გადაასახლონ არაბეთის უდაბნოებში. აქაც, როგორც სხვა ყველაფერში მეტად გადაზნექს პროპაგანდის ხაზი და ხალხში გამაგრების სამაგიეროდ შექმნეს შიში და დეფეტისტური განწყობილება. ხშირად გაიგონებთ: თუ ამერიკას ასეთი ეშმაკის მაშხალა აქვს, როგორც პროპაგანდისტები ამტკიცებენ—ჩვენი საქმე მაინც წასული ყოფილა. ეს დეფეტისტური განწყობილება უფრო მძლავრად მოედო კომპარტიის და თანამგარძნობთა რიგებს ვინემ ფართო მასსას. ამის მიზეზი ის არის, რომ, კერძოდ საქართველოში, ფართე მასები მუდამ გულგრილად ხედებოდენ ხელისუფლების «მორიგ კამპანიას». ამ შემთხვევაშიაც ქართველი ხალხი ამერიკა-მოსკოვის დავას უყურებს, როგორც მისთვის უცნო ამბავს. ხშირად გაიგონებთ: ამერიკა მოსკოვს ებრძვის, ჩვენ რა შუაში ვართ. ამერიკას რა აქვს ჩვენთან საომარიო.

ამ უკანასკნელ ხანებში ეს ტენდენცია საგრძნობი ხდება; არა ერთი და ორი ქართველი კომუნისტი მოექცა მისი გავლენის ქვეშ. ამ ტალღას ვერც საქართველოს მარიონეტული საბჭოთა მთავრობა აცდა. უკანასკნელ ხანებში იმანაც მოუხშირა მოსკოვისადმი მოთხოვნილებების წაყენებას. მართალია, ეს მოთხოვნილებები, ჯერ-ჯერობით, არ სცილდებიან შინაურ წვრილმან საკითხებს, მაგრამ საბჭოთა დიქტატურის სინამდვილეში—და ისიც, დღევანდელ გართულებულ საერთაშორისო პირობებში—იგი ითვლება დიდ «თავხედობათ».

მოსკოვის რეაქციაც ამ «თავხედობის» მიმართ დაუნდობელი აღმოჩნდა. ამის გამომხატველია საქართველოში და მთელ ამიერ-კავკასიაში თებერვალ-მარტში ჩატარებული მასიური «წმენდა». იგი, თავისი მასიურობით და გაწმენდილთა მდგომარეობით საბჭოთა იერარქიაში, მოგვაგონებს 1936-38 წლების ცნობილ ამბებს.

4 აპრილს 1952 წ. თბილისში შესდგა საქართველოს კომპარტიის ახალი შემადგენლობის გაფართოებული პლენუმის საგანგებო სხდომა—ლ. ბერიას თავმჯდომარეობით. პლენუმმა «ენტუზიაზმით» მიიღო და დამტკიცა პოლიტ-ბიუროს და პირადათ ბერიას მიერ მიღებული ღონისძიებანი, რომლებიც ჩატარებული იყო პარტიულ, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების გასაწმენდად—«ხალხის და საბჭოთა ხელისუფლების მტრებისაგან». წმენდა მიმდინარეობს «ძველი, გახრწნილი კადრების» ახალი, მოსკოვის ერთგული ელემენტებით შეცვლის ღონისძიებით. საბრალმდებლო სკამზედ აღმოჩნდნენ: საბჭოთა საქართველოს მთავრობის მთელი შემადგენლობა ჩხუბიანიძის მეთაურობით; საქა-

რთველს კომუნისტური პარტიის ცეკას პოლიტ-ბიუროს მთელი შემადგენლობა ჩარკვიანის მეთაურობით. ქალაქ თბილისის აღმასკომის მთელი შემადგენლობა, — ქუთაისის, ბათუმის, ფოთის და სხვა პროვინციალური ქალაქების აღმასკომები. გადაყენებული არიან პარტიულ რაიკომების მდივნების უმრავლესობა. ერთი სიტყვით, საქართველო გასწმინდეს ძველი, გუშინდელი მეთაურებისაგან. ყველა გაწმენდილნი, და ისინი კი ათასობით ითვლებიან, მიცემული არიან პასუხისგებაში. თუ რას ნიშნავს ეს საბჭოთა «ქარგონზედ», თქვენთვის, ალბად, გასაგებია.

წმენდა ჯერ კიდევ არ შეხებია ქართველ მწერლებს, ლიტერატორებს, მეცნიერებს და არტისტებს. მაგრამ ბერიას მუქარა:—«ჩვენი მწერლები, ლიტერატორები და მეცნიერები დიდ ვალში არიან ხალხის წინაშე და პასუხი უნდა აგონოთ კარგს არაფერს უმზადებს ჩვენს ინტელიგენციას. მაგრამ დღემდის ამ მუქარას კონკრეტული სახე არ მიუღია და იქიდან «ორგანიზაციული დასკვნები» ჯერ არ გაუქვთებიათ.

თქვენთვის, ალბად საინტერესოა, თუ რას აბრალებენ ჩხუბიანიძე-ჩარკვიანს და მის მიმდევრებს. ამ მხრივ შემოწმებული და უტყუარი ცნობა ჯერ არა გვაქვს გარდა თვით ბერიას საბრალდებულ სიტყვისა, რომელიც მან წარმოსთქვა კომპარტიის ახალი ცეკის 4 აპრილის სხდომაზე.

აი, რას ამბობს ეს ოფიციალი ბრალდება:

«... ამხანაგებო, ძველი მეთაურობის მთელი მოღვაწეობა მიმართული იყო ხალხის შევიწროება-ჩაგვრისაკენ. მათ გაავსეს პარტიული და სახელმწიფო აპარატები უცხო და ანტი-საბჭოთა ელემენტებით. არ ასრულებდენ თავის პირდაპირ მოვალეობას; დასჩემდათ მედიდურობა და გაამეფეს სერვილიზმი, მექრთამეობა, მფარველობდენ საეჭვო და ბნელ ელემენტებს, არ ასრულებდენ თავის პირად მოვალეობას, მაგალკომპ. რაიკომების პასუხისმგებელი მდივნები ზამბახიძე და სხვები გულგრილად ეპყრობოდენ თავის მოვალეობას და დროს ატარებდენ მოხსენებების და რეფერატების კითხვაში.

«საქარ. კომპ. ცეკას ბიუროს წევრებს—ამბობს ბერია—დაავიწყდათ ამხ. სტალინის მითითებები ახალგაზდა კადრებზედ. ისინი ყურადღებას არ აქცევდენ ახალგაზდობას და არაფერს აკეთებდენ მათგან ღირსეულ და ერთგულ კადრების შესარჩევად და წინ წამოსაყენებლად. ამის მაგიერ დევნიდენ ახალგაზდა ძალებს, ამეფებდენ მლიქვნელობას, მექრთამეობას; საეჭვო ელემენტების მფარველობას და კამარილიას. ცეკას ბიუროს წევრები და ქალაქის და რაიკომების მდივნები დამნაშავე არიან ყველა იმ გადახრებში და შეცდომებში,

რომლებიც გამეფდა საქართველოს სახელმწიფო, პარტიულ და სხვა დარგებში.

«არც პარტიის პროვინციალურ რაიკომებშია საქმე რიგზედ. იქაც იძულებული იყო პარტია მიეღო სასტიკი ზომები მავნე ელემენტების წინააღმდეგ. პარტიამ რკინის ცოცხით დაუნდობლათ გასწმინდა ჩვენი რიგები ხალხის და რეჟიმის, ამ მტრებისაგან.

«ამხანაგებო, ამ ვაჟბატონებმა, რომლებსაც პარტიამ ჩააბარა უმაღლესი პოსტები პარტიულ, სახელმწიფო-სამეურნეო აპარატებში, თავი წარმოიდგინეს დიდ კაცებად, პატივცემულ გვამებათ და ხალხს მალლიდა დასცქეროდენ. მედიდურობა და მეტიჩრობა, უფლებამოყვარობა და მიუკარებლობა გაამეფეს ხალხთან დამოკიდებულებაში. ისინი ებრძოდენ და სასტიკად დევნიდენ ყოველგვარ კრიტიკას, რომელიც მიმართული იყო მათი «პროვინებისადმი, სდევნიდენ შინაპარტიულ დემოკრატიას». აი, მაგ. 14 თებერვალს 1952 წ. თბილისის დეპოს პარტიულ უჯრედის კრებაზე მუშა ამხ. კვარაცხელია კრიტიკით გამოვიდა დეპოს უფროსის და პარტიულ უჯრედის მდივანის ინჟ. როდონაიას წინააღმდეგ. იმ დროს, როდესაც ამხ. კვარაცხელია სიტყვას ამბობდა, მას გადასცეს ქალაღი. როცა კვარაცხელიამ სიტყვა დაამთავრა და დაჯდა ქალაღი გახსნა, და იცით ამხ—ბო რა ეწერა ამ ნაგლეჯ ქალაღში?—აი, რა ეწერა: ინჟ. როდონაია ატყობინებდა ამხ. კვარაცხელიას, რომ იგი დათხოვნილია სამსახურიდან, როგორც ანტისაბჭოთა ელემენტი და წინადადება ეძლევა ხვალ დილით შეიაროს სალაროში და მიიღოს ანგარიში! აი, როგორ ატარებდა ძველი ხელმძღვანელობა შინაპარტიულ დემოკრატიას! ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ კრებებზედ ორატორები ლაპარაკობდენ არა ხელმძღვანელობის მიერ დაშვებულ შეცდომებზედ, არა დადებით წინადადებებს იძლეოდენ, არამედ იწყებდენ და ათავებდენ ხელმძღვანელობის ხოტბით და განდიდებით. ყველაფერი ეს კი ბუნებრივად ხალხში იწვევდა ხელმძღვანელობისადმი სიძულვილეს და ხელს უწყობდა ხალხში საბჭოთა რეჟიმის ავტორიტეტის შემცირებას და დაცემას.

«თბილისის ქალაქის აღმასკომის წევრები თავის მოვალეობას გულგრილად ეპყრობოდენ და დანაშაულ აქტებს ჩადიოდენ. ისინი არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ მცხოვრებთა საპირობებს. საბჭოს წევრები სამუშაოზედ მოდიან და მიდიან, როდესაც მოესურვებათ, თითქოს ქალაქის მართველობა მათი მემკვიდრეობითი საკუთრება იყვეს. თქვენ იცით, ამხანაგებო, რომ თბილისის მოსახლეობა და მათი მოთ-

ხოვნილებები დღითი-დღე იზრდება, ხოლო ამ ვაქცინაციის წყალობით კომუნალური მეურნეობა კი უკან მიდის. თქვენ ისიც იცით, რომ არსებობს თბილისის რეკონსტრუქციის პლანი, მაგრამ მისი განხორციელებისათვის ყურებს არ იბერტყავს არც ქალაქის საბჭო და არც თბილისის საქალაქო პარტიის კომიტეტი. კიდევ მეტი, მთელი კვირაობით არ იწმინდებოდა თბილისის ქუჩები. არავინ ზრუნავდა საოჯახო ნაგავის აკრეფაზე და ქუჩების სისუფთავეზე, საშინელი შმორი და დამპალი ნეხვის სუნი სწამლავდა ქალაქის ქუჩებს. ამ დროს კი კომუნალური განყოფილების გამგე და აღმასკომის წევრი ამხ. შარაშანიძე, რომლის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ქალაქის კეთილ მოწყობაზედ ზრუნვა, დროს ატარებდა ლენინიზმზე რეფერატების კითხვაში. რეფერატების და ლექციების კითხვა კარგი საქმეა ამხანაგებო, მაგრამ ამისთვის ჩვენ გვყავს სპეციალური პირები და შარაშანიძე არავის დაუნიშნავს სატახტო ქალაქის კომუნალურ საქმეების წინამძღოლად რეფერატების საკითხავად.

«ამბობო, ჩვენი ვალია სასტიკად ვებრძოლოთ ამ ბოროტებას. ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ გულგრილობა, მედიდურობა და ფსიხოპატობა ჩვენ ხელმძღვანელობაში. უნდა ვისწავლოთ ვიყოთ ზრდილობიანი და თავაზიანი; დაუახლოვდეთ ფართო მასებს, ხალხს. უნდა წამოვაცუნოთ და წინ წამოვწიოთ ახალი ძალები,—პარტიის და საბჭოთა სახელმწიფოს ერთგული. ჩვენ გვყავს საქართველოში საკმაო რიცხვი ღირსეული ახალგაზდობის, მხოლოდ საჭიროა მისი გამოვლინება, წინ წამოწევა, რასაც ცეცხლივით გაუბრძოდა ძველი ხელმძღვანელობა...»

აი ოფიციალური ვერსია და მოტივები საქ—ში ჩატარებული წმენდის. რასაკვირველია, იგი შეიცავს ნაწილობრივ სიმართლეს, მაგრამ არსებითი და მთავარი მოტივი დაფარულია ჩვეულებრივ ბოლშევიკურ ფრაზეოლოგიაში—იმის გუშინდელ პრაქტიკისა და დღევანდელ სიტყვიერებათა წინააღმდეგობაში. დღეს ყველამ იცის, რომ ამ წმენდის მიზეზები უფრო ღრმაა და სულ სხვა სახის, ვინემ ბერიას საბრალმდებულო ოქმი. ეს, რომ ასე არ იყოს, მაშინ თვით ბერია დიდი ხანია «განწმენდილი» უნდა ყოფილიყო.

აქ კი დადის სხვადასხვა ხმები ჩატარებული წმენდის შესახებ. ამ ხმებთა შორის ორი ვერსია იპყრობს საერთო ყურადღებას. და იმათგან ან ერთი, ან ორივე ერთად. უეჭველია უფრო ახლა სინამდვილესთან, ვინემ ოფიციალური ვერსია.

დიდი ხანია ჩვენ ვიცით, რომ მოსკოვსა და თბილის

შორის სწარმოებს ყრუ, მაგრამ მწვავე, ბრძოლა უფლებების ნიადაგზედ. ჯერ კიდევ, 1950 წლის დასაწყისში ამ კონფლიქტის მსხვერპლი გახდნენ დამსახურებული ქართველი კომუნისტები, როგორც იყვნენ: რაფავა—საქართველოს უშიშროების მინისტრი, ვ. სტურუა—საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი რუსეთის საკავშირო უმაღლეს საბჭოში, ანანიაშვილი—მიწად-მოქმედების მინისტრი და სხვები. სტურუა-რაფავას მიმდევრების მთელი დანაშაული იმაში გამოინატებოდა, რომ ისინი სთხოვდნენ მოსკოვს მიეცათ საქართველოსათვის, თუგინდ, ნაწილი იმ უფლებების, რომლითაც იგი სარგებლობდა ომის პერიოდში. უნდა ითქვას, ომის დროს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები, მართლაც სარგებლობდნენ დიდი ავტონომიური უფლებებით და წარმატებით უძღვებოდნენ ადგილობრივ საქმეებს, მაგრამ ომის გათავების მეორე დღესვე მოსკოვმა უკან წაიღო ყველა დათმობები და ცენტრალიზაცია პირდაპირ აბსურდამდე მიიყვანა.

მაგალითად, საქართველოს, ეგრედ წოდებულ, საბჭოთა მთავრობას უფლება არ აქვს ერთი კილო თამბაქო, მანდარინი, ან კილო საქართველოს ჩაი თბილისის ბაზარზედ გაყიდოს მოსკოვის ნება დაურთველად. ასეთივე არის საქართველოს სხვა პროდუქტების ბედიც. წარმოიდგინეთ, მოსკოვის ბაზარზედ ქართული ყველი მყიდველს ვერ პოულობს და ლპება, ხოლო საქართველოში იგი სანთლით საქებარია და ათჯერ მეტად ფასობს, ვინემ მოსკოვში. აი ამ «წვრილმან» საკითხებზედ დავა მოსკოვსა და თბილის შორის გახდა, თუ ამ ვერსიას დაუჯერებთ, საქართველოში «გაზაფხულის წმენდის» მიზეზი.

თბილისის კომუნისტურ წრეებში გაბატონებული აზრის მიხედვით,—მოსკოვს არ შეეძლო დღევანდელ გართულეულ საერთაშორისო პირობებში დაუსჯელი დაეტოვებია ადგილობრივი სატრაპების პრეტენზიები უფლებებზედ და საკუთარი აზრის ქონაზედ.

ამასთან ერთად, თბილისში და მთელს საქართველოში დადის მეორე ვერსია. აქ დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ კრემლში უკვე დაიწყო ბრძოლა მემკვიდრეობისათვის. უეჭველია ამ ვერსიასაც აქვს ერთგვარი საფუძველი და გამართლება. ამ ვერსიის მიხედვით—ბერია, რომლის ხელშია სამი მთავარი პოზიცია საბჭოთა აპარატში (შინაგანი, უშიშროების სამინისტროები და საკონტროლო კომისია) წარმომადგენს უძლიერეს პრეტენდენტს კრემლის ტახტზედ. იმისი მთავარ მოპირდაპირედ ითვლება მოლოტოვი და სუსლოვი. ეს უკანასკნელი კი უფრო მოლოტოვის კაცია, ვინემ დამოუკიდებელი კონკურენტი. ბერიას შანსები მით უფრო ძლიერია, რომ მალენკოვი მისი მარჯვენა ხელია და მის მიერ მო-

ყვანილი კრემლში. ეს მოხდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ბერია გადაურჩა რა ეჭოვის მიერ დაგებულ მახეს რაფაევას დახმარებით, თვით დაიჭირა მისი ადგილი და ის კი წუთისთაფელს გამოასალმა. მალენკოვი ბერიამ იმ დროს სტალინის პირად მდივნად დანიშნა, რომლის პირდაპირი მოვალეობა უფრო იყო სტალინის უშუალო დაცვა, მაშინდელი მტრებისაგან, ვინემ მდივნობა. დღეს კი მალენკოვი ფაქტიურად პარტიის გენერალური მდივანია. ამ რიგად ბერია, მალენკოვის მეშვეობით, თავის კონტროლის ქვეშ აყენებს პარტიულ აპარატსაც.

ცნობილია, საბჭოთა სინამდვილეში, ბერიასათვის საკმარისი არ არის მისი დღევანდელი პოზიციები სტალინის მემკვიდრედ უბრძოლველად გასახდომათ. ვინაიდან თვით ამ აპარატებში ბევრია ისეთი ელემენტები, რომლებიც ბერიაზედ მაღლა მოლოტოვს აყენებენ. ამიტომ ბერია იძულებულია ეს აპარატები გასწმინდოს მისთვის არასაიმედო პირებისაგან და იქ ჩააყენოს მისი ყურმპურილი მოწები—მისგან პირადად დამოკიდებული ხალხი. და რაც მთავარია—ამ ვერსიის მიხედვით—ბერია იძულებულია სტალინის გაქრობის შემდეგ დაეყრდნოს ისეთ მორალურ და პოლიტიკურ ერთეულს, როგორიც არის მისი სამშობლო ამიერ-კავკასია და კერძოდ, საქართველოს...

დღეს მან ეს ამოცანა ჩინებულად ჩაატარა. პირველ რიგში მან გასწმინდა საქართველო იმ ძველ მეთაურობისაგან, რომლებიც სცნობდენ საბჭოთა კავშირში მხოლოდ ერთადერთ ავტორიტეტს—სტალინს. მათ ადგილზედ მან მოიყვანა ახალი ხელმძღვანელობა, გუშინ უცნობი, მაგრამ დღეს მისი მორჩილი და მისგან პირდაპირ დამოკიდებული...

ძნელია იმის თქმა, თუ რომელი ამ ორ ვერსიიდან არის მამოძრავებელი მოტივი მიმდინარე წმენდის, მაგრამ ჩვენი დაკვირვებით ორივე ერთი მეორეს ავსებს და ორივე არსებული განწყობილების ანარეკლია. მთავარია, რომ ყდანოვის «სიკვდილის» შემდეგ პოლიტ-ბიუროში ორი ბლოკი ჩამოყალიბდა. ორივე მხარე ცდილობს შეფის «წასვლის» მოლოდინში თავიანთი პოზიციები გაიმაგრონ,—მოწინააღმდეგის მომხრეები თავის საკუთარ აპარატიდან განდევნონ და ამით მომხრეებულნი შეხვდენ მოსალოდნელ ამბებს.

აქ ხმები დადის, რომ სტალინი ამ ბოლო დროს ფიზიკურად მეტად დასუსტდა, ამიტომ პოლიტ-ბიუროს წევრები გათამამდენ და აღარ ერიდებიან «მემკვიდრეობის» შესახებ აშკარა დავას...

გიორგი.

არ ახალია, ძველია.

პარიზის ქართველი ემიგრაციის ერთი ნაწილი გადავა განზე და აწარმოებს თავსდასხმას მეორე ნაწილზე, რომელიც ურყევად დვას საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე, მხარს უჭერს და ესმარება დამფუძნებელი კრების მიერ გამოგზავნილ ნაციონალურ მთავრობას და მუშაობს მასან ერთად. ეს ჩაგრული ერის მთლიანობის გახეთქა და თავისი კარიერის წინ წამოყენება არის პირდაპირი განდგომა ქართული ნიადაგიდან. მაგრამ საქართველოს ისტორიაში ეს ახალი ამბავი არ არის; ასეთი გაქცევ-გამოქცევა ერის ნიადაგიდან ხშირათ ყოფილა. ამას ასწერს კარბელაშვილი თავის «საქართველოს ძველი ისტორია»-ში (ტომი მეორე).

«მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში, სწერს ავტორი, ქართლის სამეფო შეირყა და მას შემდეგ ველარ იქნა მისი დაწყნარება. კახ-ბატონის ალექსანდრეს, ბარძიმ ამილახვარის, ელიზბარ ქსნის ერისთავის და სხვათა უკულმართ მოქმედებამ ჯერ ოსმალეთი გააძლიერა ქართლში და მას სამცხე დაუმორჩილა, შემდეგ სპარსეთის გზით გაანადგურეს ქართლი პოლიტიკურათ და ქონებრივათ. მოღალატენი გარბოდენ და გამორბოდენ სპარსეთისაკენ, ოსმალეთისაკენ, რუსეთისაკენ. ყველა უკმაყოფილო და პატივმოყვარე ფეოდალი გარბოდა ყენთან და სულთანთან, აბეზღებდა კანონიერ მთავრობას» და სხ. ეს შინაგანი ღალატი დამთავრდა იმით, რომ რუსეთთან გააბეს კავშირი და ბოლოს სამშობლო მას გადასცეს. ამ მოღალატეებიდან დაინიშნა მოსკოვის მიერ თბილისში დროებითი მთავრობა, რომელშიაც შედიოდა ოთხი ქართველი თავადი, საოკუპაციო ჯარის სარდალის ლაზარევსკის თავმჯდომარეობით.

1802 წელს მოხდა ხალხის აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ, რაც ჩააქრეს ქართველ მოღალატეებმა, რისთვისაც მიიღეს მრავალნაირი ჯილდოც. «იმერეთის სამეფოს გაუქმება და მეფე სოლომონის გაქცევა ოსმალეთში იყო უმთავრესათ ქართველი თავადების საქმე, ზურაბ წერეთელის მეთაურობით». ერთი სიტყვით, საქართველოში იყო გაჩაღებული ბრძოლა ურთიერთ შორის პირველობის მოსაპოვებლათ და ამ შინაურ განხეთქილებამ დაღუპა ერი.

ახლა კი ამავე გზას დაადგა ემიგრანტების ერთი ნაწილი, გადაუდგენ კანონიერ მთავრობას. ილაშქრებენ მის წინააღმდეგ და რევენ საქართველოსათვის საერთო მუშაობას.

მათი მოქმედება არ ახალია, ძველია. ეს ვერ შეარყევს 26 მაისის ქართველობას.

მხ. გეგეჭკორის იუბილე.

ამა წლის 22 აპრილს, ჩვენს ძვირფას ევგენის შეუსრულდა 70 წელი, რომლის აღსანიშნავათ პარტიის სოციალ-დემ. პარტიის ორგანიზაციის თაოსნობით მის ბინაზე დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი.

ჩვენმა მცხოვანმა ბელადმა, საქართველოს ეროვნულ მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიამ გახსნა ზეიმი და იუბილიარს მიმართა თბილი სიტყვით; მან ზეიმის ხელმძღვანელობა გადასცა კ. გვარჯალაძეს, რომელმაც ვრცელ სიტყვაში დაახასიათა ევგენის ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობა, დამსახურება ქართველი ერის წინაშე, უსურვა მას ხანგრძლივი სიცოცხლე ქართული საქმის საკეთილდღეოდ.

პარტიის წარმომადგენლებმა და ახლო მისმა პოლიტიკურ მეგობრებმა მიმართეს მას სიტყვებით. ყველანი აღნიშნავდნენ იუბილიარის თვალსაჩინო როლს ქართველი ერის ცხოვრებაში და იმ დაუღალავ ენერგიულ და თავდადებულ შრომას, რომელსაც იგი დღეს ეწევა საქართველოს სუვერენობის აღდგენის, სამშობლოს განთავისუფლების საქმეში.

იუბილიარმა ყველას მადლობა გადაუხადა და აღუთქვა, რომ სანამ მას უკანასკნელი ძალღონე შესწევს კვლავინდებურად განაგრძობს ქართული საქმის სამსახურს.

ინგლისის მუნიციპალური არჩევნები.

მუნიციპალური არჩევნები ინგლისში მუშათა პარტიის უდიდესი გამარჯვებით დამთავრდა. პარტიამ ამ არჩევნებში 1.730 ადგილი მოიგო და 70 ახალი თვითმართველობა დაიკავა. განსაკუთრებით დიდია მისი გამარჯვება ინდუსტრიალურ რაიონებში და ქალაქებში, როგორც, მაგალითად მანჩესტერში, ბირმინგამში და სხვაგან. მაგრამ მუშათა პარტია შეიჭრა სოფლადაც, სადაც წინეთ ჩვეულებრივად კონსერვატორები იმარჯვებდნენ და დიდი უმრავლესობა მათ სოფლის მუნიციპალიტეტებში ყავდათ. ესლა ბევრ ადგილას სოფლებში მუნიციპალიტეტი ან მთლად მუშების ხელში გადავიდა, ან და აქ კონსერვატორების გავლენა ძალზე შემცირდა. თვით ვინსტონ ჩერჩილის საარჩევნო რაიონშიდაც მუშებმა ბევრი ადგილი მოიგეს.

საერთო აზრით ინგლისში ეს მუნიციპალური არჩევნები დიდად იმოქმედებს მთავრობის დღევანდელ პოლიტიკაზე. თუ ჩერჩილის მთავრობას გადაწყვეტილი ჰქონდა ზოგი დიდი წარმოების დენაციონალიზაცია მოეხდინა და მუშათა მთავ-

რობის მიღწევები წაეშალა, ამ არჩევნების შემდეგ, რომელიც უთუოდ, კონსერვატორების მიმართ, საზოგადოებრივი აზრის შეცვლის მაჩვენებელია, დღევანდელი მთავრობა ისე გაბედული ნაბიჯით ველარ იმოქმედებს, როგორც წინეთ ამას კონსერვატორები იმუქრებოდნენ.

მუშათა პარტია ამ არჩევნებში თვალსაჩინო პროგრესს მოელოდა, მაგრამ არასოდეს წარმოედგინა, რომ მას ასეთი დიდი გამარჯვება ხვდებოდა წილათ. პარტიის ლიდერები— ატლი, მორისონი და პარტიის გენერალური მდივანი— მორგან ფილიპსი ეხლა აცხადებს, რომ ეს მათი გამარჯვება არ არის მხოლოდ ლოკალური ხასიათის, არამედ ამას უთუოდ უნდა მოყვეს გამარჯვება ნაციონალურ მასშტაბშიდაც, ესე იგი მომავალ საპარლამენტო არჩევნებში. აკი ამ მუნიციპალური არჩევნების შესაფასებლად ჰერბერტ მორისონი ამბობდა: «ახლად არჩეულ მუნიციპალიტეტებში ჩვენი საქმიანობის ხარისხისაგან იქნება დიდად დამოკიდებული, თუ რა შედეგი მოყვება ჩვენ ბრძოლას მომავალ საპარლამენტო არჩევნებში, საერთოდ, ჩვენ მუშაობას მუნიციპალიტეტებში დიდი გავლენა ექნება ნაციონალურ მასშტაბით ჩვენ მომავალ გამარჯვებაზე».

5.

ქართვლოზა უცხოეთში.

26 მაისი პარიზში.

ეროვნული დღესასწაული პარიზში განსაკუთრებული შინაარსით და სიმშვენიერით ჩატარდა. დროშებით მორთულ სცენაზე ზეიმი გახსნა მომღერალთა გუნდმა «დიდება» ს გალობით, რის შემდეგაც შესრულებულ იქნა ფრანგული ჰიმნი «მარსელიოზა». ქართულ სათვისტომოს თავმჯდომარემ შალვა აბდუშელმა ფრანგულ ენაზე მიესალმა საზოგადოებას, აღნიშნა საქართველოს დაპყრობა და ბრძოლა ქართველი ერის დაკარგული თავისუფლების აღსადგენათ. არტისტულ განყოფილებაში პატარა ნაწი სტურუამ ალტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება პიანოზე დაკვრით. იმავე ნაწილსა და პატარა ქრისტიანე ფაღავას ერთად «ბალეტში» გამოსვლამ დიდი სიამოვნება აგრძობია მაყურებელთ. ბ. ნ. თვალთა-შვილის ხელმძღვანელობით პირველად გამოდის სცენაზე მომღერალთა გუნდი ახალგაზდობისა, ყველანი უცხოეთში დაბადებული და აღზდილი. ამ მოვლენას კმაყოფილებით შეხვდა ყველა. მათ შეასრულეს ქართული სიმღერები. იმედია ეს გუნდი ვაგარძელებს მუშაობას ამ დარგში. როგორც წინად, ნიჭით დაჯილდოებულმა და-ძმამ ელიკო და როსტომ წერეთელმა დიდათ ასიამოვნეს დამსწრენი თავიანთი მოხდენილი და კარგად შესრულებული ცეკვით. ფანდურზე მომღერალთა

გუნდის ტკბილი და მელოდიური ხმა აჯადოვებდა მსმენელთ. ლექურის შემსრულებელთა რიცხვში განირჩეოდნენ ნუცა თაყაიშვილი, რამინ ნასყიდაშვილი, ძმები კობახიძეები და სხ. მომღერალმა კობალაძემ საერთო აღტაცება გამოიწვია. მოსალოცი სიტყვებით გამოვიდნენ მოძმე ერების წარმომადგენლები. ზეიმი დილამდე გაგრძელდა.

26 მაისი მიუნხენში.

მიუნხენის ქართველობამ ერთხელ კიდევ იდღესასწაულა 26 მაისი საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავათ.

საზეიმო სხდომა გახსნა კოლონიის გამგეობის თავმჯდომარემ ალექსანდრე კორძაიამ, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა ქართველი ერის სახელოვანი ბრძოლა საქართველოს ვინაობის აღსადგენათ და მოუწოდა კრებას ერთსულოვანობისთვის, ეროვნული საქმის მთლიანობისთვის.

შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ბ. ბ. ნიკო ნაკაშიძემ, რომან ფარხინმა (აფხაზია), ი. კუჭუხიძემ, ვ. მოსიძემ და სხვ.

წაკითხულ იქნა მოლოცვები ბერლინელ ქართველები-საგან და გერმანიის სხვადასხვა ადგილებიდან: სიმონ გეგელაშვილისაგან, ვიქტორ ძიმასტაშვილისაგან, ვლადიმერ ჩიქოვანისაგან და გოგი კობახიძისაგან.

კრებამ შემდეგი მისასალმებელი წერილი გაუგზავნა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის თავმჯდომარეს: «საქართველოს ეროვნულ მთავრობის თავმჯდომარეს ემიგრაციაში ნოე ჟორდანიას.

მიუნხენის ქართველობა შეკრებილი საზეიმო სხდომაზე საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავათ, მხურვალე ქართველურ სალამს გიძღვნით თქვენ, დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარეს. მძიმე პირობებში თქვენ დარაზმეთ ქართველი ერი, რომელმაც 117 წლის მონობის შემდეგ ააფრიალა ეროვნული თავისუფლების დროშა, ეს დროშა დღესაც ხელში გიჭირავთ თქვენ.

თქვენი უკანასკნელი მემორანდუმი, რომლითაც თქვენ მიმართეთ განათლებულ ევროპის სახელმწიფოებს, ლაპარაკობს იმას, რომ ქართული საქმე სახლვარ-გარეთ საიმედო ადამიანის ხელშია. თქვენ არ დაგიტოვებიათ საქართველო, არამედ საქართველოს უზენაეს ორგანომ—დამფუძნებელმა კრებამ თქვენ მოგანდოთ ევროპაში განაგრძოთ ბრძოლა საქართველოს სუვერენობის აღსადგენად.

იდღეგრძელეთ მრავალ-ჟამიერ!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

დიდება ქართველ ერს!»

მ. ლ—ი.

მიუნხენი, 26 მაისი 1952 წ.

26 მაისი ხელმოწერა.

სოჭოს და მის მიდამოებში მცხოვრები ქართველნი, კოლონიის ბინაზე, 26 მაისის საღმრთო საღმრთო, შეკრებილნი ესალმებიან საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას და ულოცავენ მას ამ ბრწყინვალე დღეს.

სოჭოს ქართველები იმედს გამოსთქვამენ, რომ ეს ისტორიული თარიღი ქართველ ერს მშვიდობიანობის, კეთილდღეობის და დაწინაურების ნავთსაყუდელში მიიყვანს.

გაუმარჯოს 26 მაისს!

გაუმარჯოს ქართველ ერს!

გაუმარჯოს საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას!

გ ე რ მ ა ნ ი ა.

უკრაინის ყოფილი მინისტრ-პრეზიდენტის პროფ. ი. მაზუპას დასაფლავებას ქ. აუგსბურგში დაესწრო ალ. კორძაია, რომელმაც საქართველოს ეროვნულ მთავრობის და ქართული ემიგრაციის სახელით სამძიმარი გამოუცხადა პრეზიდენტ ლევიცკის და უკრაინის ცენტრალურ ეროვნულ რადის წევრებს პროფ. მაზუპას გარდაცვალების გამო... პროფ. ი. მაზუპა იყო უკრ. სოც.-დემოკრატების მეთაური და ქართველების მეგობარი. ამ რამდენიმე წლის წინ მაზუპა იყო მძიმე ავით და მას საავთმყოფოში ექიმობდა ქართველი ექიმი გივი გაბლიანი, რომლის განსაკუთრებულმა მზრუნველობამ და ექიმობამ ხელი შეუწყო მაშინ მის გადარჩენას. განსვენებული ხშირად დიდი მადლობით იგონებდა ამ ქართველი ექიმის სახელს.

4 მაისს მიუნხენის თვითმართვლობის დარბაზში ბავარიის მცხოვრებ პოლონელებმა გადაიხადეს ზეიმი 3 მაისის 1791 წლის კონსტიტუციის აღსანიშნავად. ზეიმს დაესწრო დიდალი საზოგადოება. გერმანიაში არსებულ უცხოელთა ცენტრალური კავშირის სახელით (ამ კავშირის წევრად ირიცხება აგრეთვე რუსული ემიგრაციის წარმომადგენლობაც) ალ. კორძაია მიესალმა ზეიმს და აღნიშნა რა 3 მაისის კონსტიტუციის მნიშვნელობა და მაშინდელ პოლონელ პატრიოტთა ბრძოლა ავსტრიის, პრუსიის და განსაკუთრებით რუსული რეაქციონური ძალების წინააღმდეგ და შეეხო რა ეხლანდელ პოლონეთის მდგომარეობას დასძინა: თუ გვინდა რომ ჩვენ უცხოეთში გადმოხვეწილებმა მივიღოთ ღირსეული მონაწილეობა დასავლეთის დემოკრატიასთან ერთად მოსკოვის ტირანებისაგან ჩვენი ერების განთავისუფლების საქმეში — აუცილებელია ურთიერთ შორის უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება და საერთო სახელმძღვანელო შტაბის შექმნა... დასასრულ ალ. კორძაიამ მადლობით აღნიშნა ის კეთილშობილური მოპყრობა, რომელიც თავის დროზე გამოიჩინა რაინდულმა პოლონურმა ერმა ქართველ და სხვა კავკასიელ ემიგრანტთა მიმართ.

ვის აბუილღს აკადემიკოსი!

ქალ. თბილისის საუბილღო კრბულში აკადემიკოსი ს. ჯანაშია ასე ათავებს თავის წერილს: «თბილისის ისტორიაში ახალი ერა იწყება საქართველოში საბუთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921 წ.) ოცა ქართველი მუშების და გლეხების შეიარაღებული აჯანყების შედეგად. რომელთაც დახმარება გაუწიეს რუსეთის მუშათა კლასმა და წითელ არმიამ, თბილისი საქართველოს საბუთა სოციალისტური რესპუბლიკის დედა-ქალაქი გახდა».

მოსკოვმა ომის გამოუცხადებლათ ჯარი შემოუსია საქართველოს. ოცა მისი ჯარები უკან იხევდა და საქართველოს ბედი გადაწყვეტილი იყო, არც ერთ კუთხეში არავითარ გამოსვლას ადგილი არ ჰქონია. სწორედ თბილისში საბუთა ოფიცრობა განცვიფრებაში მოვიდა, რომელსაც დახვედა გლოვის ძაძებში გახვეული ქალაქი, სამარისებული სიჩუმე, ცხოვრება ჩამკვდარი. არ გამოჩნდა ხუთიოდე ქართველი კომუნისტიც კი, რომ სიმბოლიურად გამოსულიყვნენ...

ეს ალბათ ბ. ჯანაშიამაც იცის, მაგრამ არ იცის იმ ახალგაზდობამ რომელსაც არ განუცდია ერის ტრადიკული დღეები.

ტყვილი ცდაა. პატარა ერის ცხოვრებაში ისეა გადაბმული ერთი-მეორეზე თაობათა ცხოვრება, რომ ასეთი ტყუილი ადვილად აშკარავდება.

3.

ვან როოსბრუკის 80 წლის თავი.

ქოსეფ ვან როოსბრუკს, ბელგიის მუშათა პარტიის ყოფილ მდივანს, სოციალისტურ ინტერნაციონალის ყოფილ მოლარეს და ბელგიის სენატის წევრს ორ მაისს შეუსრულდა 80 წელი.

ვან როოსბრუკი ქართველების დიდი მეგობარი იყო წარსულში და არის დღესაც. მისი 80 წლის დღესასწაულის გამო შეკრებულ საზოგადოების წინაშე მარკოზ ტულუში ქართველების სახელით მიესალმა ვან როოსბრუკს და მადლობა გადაუხადა მას ჩვენდამი მეგობრობისათვის. როოსბრუკმა მარკოზ ტულუში შემდეგი უპასუხა: «გულითადი მადლობა თქვენი მოსალმებისათვის, მაგრამ დიდად ვწუხვარ, რომ ჩემი ხნოვანობის გამო აღარა მაქვს შესაძლებლობა კვლავ დავიცვა თქვენი მეტად სიმპატიური და გმირული ხალხი, რომელსაც ვიცნობ დიდი ხანია. ქართველ ერს მისი თავისუფლება უნდა დაუბრუნდეს, გაუმარჯოს საქართველოს».

ი ს ა კ მ ა ზ ე მ ა .

ქალაქ აუსხურგში (გერმანია) გარდაიცვალა უკრაინელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი და ცნობილი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე—ისაკ მაზეპა.

პირველად მის მოღვაწეობას, მეფის რეჟიმის დროს, ის იწყებს უკრაინის ერობის თვითმართველობაში და უკვე ამ მუშაობაში ხდება ის მეტად პოპულიარული პიროვნება. 1917 წლის რევოლიუციის დროს კი მაზეპა უკრაინულ რევოლიუციონურ ორგანიზაციების წევრი და ხელმძღვანელია. 1919 წელს ის უკრაინელ რადის დეპუტატი და სულ მალე უკრაინის მთავრობის თავმჯდომარეა. ამ მისი თავმჯდომარეობის დროს ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა უკრაინულ ჯარში და იარაღით ხელში ბოლშევიკების წინააღმდეგ იბრძოდა.

ბოლშევიკების მიერ უკრაინის დაპყრობის შემდეგ ის მიემგზავრება ჩეხოსლოვაკიაში და იქ განაგრძობს თავის მოღვაწეობას. 1921 წელს ინიშნება უკრაინის მიწათმოქმედების აკადემიის პროფესორათ პრაგაში. ამავე წლიდან ის წარმოადგენს უკრაინის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ინტერნაციონალში, სადაც თავგამოდებით იცავდა უკრაინელი ერის თავისუფალ და დამოუკიდებელ არსებობას და მოითხოვდა ინტერნაციონალის მიერ ამის ცნობას.

ემიგრაციაში ყოფნის დროს ისაკ მაზეპამ დასწერა სამ ტომიანი შრომა—«უკრაინა რევოლიუციის ცეცხლში და ქარიშხალში», რომელშიდაც მოთხრობილია უკრაინის ერის ბრძოლები თებერვლის რევოლიუციიდან დაწყებული მისი ბოლშევიკების მიერ დაპყრობამდე. მისი მეორე დიდი შრომა—«ჩვენი ალორძინების საფუძველი». უკრაინულ საკითხის შესახებ, რაც ამ უკანასკნელ ხანაში კი დაწერილა ევროპაში, მაზეპას ეს წიგნები საუკეთესო ნაწარმოებთა ითვლება.

ისაკ მაზეპას დიდი ღვაწლი და დამსახურება მიუძღვის იმაში, რომ ემიგრაციაში შეიქნა უკრაინულ დემოკრატიულ პარტიათა საერთო ფრონტი, რადათ წოდებული. სრული დამსახურებით ის იქნა მიწვეული 1948 წელს ამ რადის თავმჯდომარეთ და დარჩა ამ თანამდებობაზე 1952 წლის იანვრამდე, როცა ავთომყოფობის გამო ის იძულებული გახდა თავმჯდომარეობა მიეტოვებია და მალე ამის შემდეგ გარდაიცვალა. მომავალ აგვისტოში მას 68 წელი უსრულდებოდა.

ისაკ მაზეპას სიკვდილით უკრაინის სოც.-დემოკრატია კარგავს მის დიდ და პოპულიარულ ხელმძღვანელს, მთელი უკრაინელი ერი კი მეტად გამორჩენილ საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეს.

საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტიის სახელით სამძიმრის დეპეშა გაეგზავნა უკრაინულ სოც.-დემოკრატიული პარტიის მთავარ კომიტეტს.

ბ. გ.



ვიკტორ ჩინოვი.

(1874—1952)

ამერიკაში გარდაიცვალა რუსი სოც.-რევოლიუციონერების ცნობილი თეორეტიკოსი—ვიკტორ ჩინოვი. ჩინოვი-შევსკის, ლავროვის და მიხაილვსკის შემდეგ რუსულ ხალხსნურ მოძრაობას ასეთი დიდი ცოდნის და ერუდიციის ადამიანი უთუოდ არ ყოფილა. ვიკტორ ჩინოვს უხდებოდა წერა ფილოსოფიურ, ეკონომიურ, სოციოლოგიურ და ბევრ სხვა კითხვების გამო და ყოველთვის მისი წერილები იყო მეტად საინტერესო და ორიგინალური. განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა ჩინოვი აგრარული საკითხის დარგში.

1917 წლის დიდი რევოლიუციის წინ ვიკტორ ჩინოვი ცხოვრობდა ევროპაში, მეგობრობდა ჟორეს, ვანდერველდეს და ევროპის სხვა გამოჩენილ სოციალისტებს. თებერვლის რევოლიუციის დროს ის დაბრუნდა რუსეთში და არჩეულ იქნა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარეთ, სადაც სოც.-რევოლიუციონერებს ყავდათ დიდი უმრავლესობა. დამფუძნებელი კრების ერთი დღის არსებობის და ბოლშევიკების მიერ გარეკის შემდეგ ის არალეგალურად მუშაობდა რუსეთში, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა უცხოეთში გამოეხიზნულიყო. აქ ვიკტორ ჩინოვი სასტიკად ილაშქრებდა წერით თუ სიტყვით კომუნისტური დიქტატურის წინააღმდეგ და მოითხოვდა ერის და ადამიანის თავისუფლებას. მას 30 ზე მეტი წიგნი და ბროშურა აქვს გამოქვეყნებული, ზოგი მათგანი გადათარგმნილია ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, თუ შვედურ ენებზე.

ვიკტორ ჩინოვი ბუნებით, ხასიათით მეტად კეთილშობილი და მიმზიდველი პიროვნება იყო. იცავდა პატარა და ჩაგრულ ერთა ინტერესებს. განსაკუთრებული ყურადღებით და თანაგრძნობით ეპყრობოდა ქართულ საკითხს. სოციალისტურ ინტერნაციონალში, სხვა რუს სოციალისტებთან შედარებით. ის ყოველთვის უფრო გაბედულად გვიჭერდა ჩვენ მხარს. მისი ჩეხო-სლოვაკიაში ყოფნის დროს ის მეგობრობდა ქართველ სოციალისტებს, რომელთათვის მისი ბინის კარები ყოველთვის ღია იყო და მათ დასახმარებლად ნაცნობობით, თუ სხვა რამეთი ის მუდამ მზათ იყო.

მასაც ჩვენ ყოველთვის კეთილად მოვიგონებთ.

ბ. ბ.



სტაფორდ კრიპსი.

სტაფორდ კრიპსის სიკვდილით ინგლისის მუშათა პარტიამ დაპყარგა ყოველივე მხრივ განსაკუთრებული ღირებულების ადამიანი. ის იყო დიდი მკოდნე არა მხოლოდ ეკონომიური და სოციალური საკითხებისა, არამედ კარგად იცნობდა აგრეთვე სხვადასხვა ქვეყნებს და ერებს. ის იყო მუშათა პარტიის საუკეთესო ინტელექტუალური ძალა და დიდი პარლამენტარი, წევრი მაკდონალდის მეორე მუშათა მთავრობისა 1930 წელს, წევრი ატლის კაბინეტისა ლიბერაციის შემდეგ, სადაც მან, როგორც ფინანსთა მინისტრმა, მისი გაბედული ეკონომიურ-ფინანსიური პოლიტიკით საერთაშორისო სახელი მოიხვეჭა.

სტაფორდ კრიპსი დიდ მონაწილეობას იღებდა არა მხოლოდ ინგლისის შინაურ პოლიტიკაში, არამედ ინგლისის მუშათა პარტია სამართლიანათ ამაყობს იმ როლით, რომელიც კრიპსმა ითამაშა შორეულ ქვეყანათა და ერთა (ცეილონის, ბირმანიის) განთავისუფლების და, განსაკუთრებით, ინდოეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოების საქმეში.

საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტიის სამხმირის დეპეზახე ინგლისის მუშათა პარტიის გენერალურ მდივანმა—მორგან ფილისმა მადლობით გვიპასუხა და ამ პასუხში ხაზს უსვამს, რომ პარტიამ კრიპსის სიკვდილით დაპყარგა დიდი სახელმწიფო მოღვაწე და მუშათა მოძრაობის უერთგულესი მეგობარი, რომლის შემცვლელი ჩვენ წრეში არავინ არისო.

მცირე შენიშვნა.

მიუნხენში, ვინმე მეტრეველის რედაქტორობით გამოდის ქართული გაზეთი, რომელიც გახდა ადგილათ, სადაც სისტემატიურათ გროვდება ყოველნაირი სიბინძურე ჩვენ თვალსაჩინო მოღვაწეთა წინააღმდეგ. ამ, უკაცრავად პასუხია, გაზეთის უკანასკნელ ნომერში, მოთავსებულია ჩემს წინააღმდეგ წერილი, აღსავსე ყოველგვარი ცილისწამებით.

არც ის, ე. წ. ბეჟდვითი ორგანო, და არც იმ წერილის ავტორი მე არ მიმაჩნია ყურადღების ღირსად. მაგრამ საზოგადოების საყურადღებოთ უნდა განვაცხადო, რომ ერთიც და მეორეც სარგებლობს იმით, რომ ჩემი პატრიოტული შეგნება ნებას არ მძლევს მივმართო უცხო სასამართლოს, რათა შესაფერი სასჯელი მიანიჭოს ამ სრულიად უმგვანო ცილისმწამებელთ.

ამიტომ უნდა დავეკმაყოფილოდე იმის აღნიშვნით, რომ როგორც წერილის ავტორის, ისე მისი დამბეჭდავის კარგი ატესტაცია, მართლაც რომ დიდათ დამამცირებელი იქნებოდა ჩემი ღირსებისათვის...

გვ. ურატაძე.

იუჩისტა საერთაშორისო კონგრესი.

დასავლეთ გერმანიის ფედერალურ მთავრობის თაოსნობით მოწვეულია იუჩისტა საერთაშორისო კონგრესი 25 ივლისიდან 1 აგვისტომდე; კონგრესის მიზანია გაცნოს მასში მონაწილეთ და მთელ მოწინავე კაცობრიობას უფლებების განვითარება და მისი ცხოვრებაში გატარების წესი რკინის ფარდის უკან.

კონგრესზე დასწრების მოპატიჟება მიიღო ეგვიპტი გეგე-ჟკორმა.

ახალი წიგნი.

ბელჯიაში დაიბეჭდა ფრანგულ ენაზე მეტათ საინტერესო წიგნი იქ მცხოვრები მარკოზ ტულუშისა, ამ სათაურით: საბჭოთა კავშირი დაპირდაპირებულია ეროვნებათა პრობლემებისადმი. აქ მოყვანილია ყველა ერი, რომელნიც ცხოვრობენ საბჭოთა იმპერიაში, ჩამოსხმულია მათი წასული და ახალი ისტორია, ამათ შორის საქართველოსაც უჭირავს საპატიო ადგილი, ერთი სიტყვით ავტორი გვაცნობს ყველა საბჭოთა ერებს, რომელნიც განიცდიან ბოლშევიკების ტირანიას. წიგნი შეიცავს 381 გვერდს. აქ ჩართულია რუქები. სურათები, სხვათა შორის საქართველოს ეროვნულ მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიასიც. დაწერილია კარგი ფრანგული ენით და ადვილათ გასაგები სტილით.

დახმარება «ჩვენი ღრუბა»-ს.

შემომწირველთა პირველი სია: ალ. მებურიშვილისაგან ათასი ფრანკი; მელქაძისაგან, ვ. ტულუშისაგან და ლაბაძისაგან სამას-სამასი ფრ.; ხელაძისაგან, პ. ინწკირველისაგან, ბარამიძისაგან, მუედლიშვილისაგან ორას ორასი ფრ.; დ. ასათიანისაგან, ფალავასაგან, ვაშაძისაგან, ხომერიკისაგან, ვ. და მ. ჩუბინიძეებისაგან, ნოზაძისაგან, გაჩეჩილაძისაგან, ტიტენიძისაგან, ქრისტეფორესაგან, აბდუშეღისაგან, ვ. ჟელიძისაგან, თეოდოშისაგან, კირტავასაგან და ტოლონიძისაგან ას ასი ფრ.

მეორე სია: გრ. უჩაძისაგან და ალ. მებურიშვილისაგან ათას-ათასი ფრანკი; ხელაძისაგან სამასი ფრ., მ. ჩუბინიძისაგან ორას ორმოცდაათი ფრ.; ტიტენიძისაგან, გ. ჟორდანიასაგან, ჩიკვილაძისაგან, ტოლონიძისაგან, ბლიაძისაგან, ცვაგრელისაგან, გოგუაძისაგან და მუედლიშვილისაგან ას-ასი ფრ.

ფული და დასაბეჭდი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

P. Sardjveladzé.

35, rue de l'Aude 35. Paris (14)

Imprimerie Coopérative Arpajonnaise, Arpajon.